# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 10 დეკემბერი, 2011 წელი.

№233 (6864)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## პასპორტიზაცია ქუთაისურად,

### ანუ გამოკითხვა თუ დაკითხვა დაშინების მიზნით?





3

### ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო

## მხარდამჭერებს დიდი სატელევიზიო ეკრანით შეეძლებათ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციისთვის თვალყურის დევნება





თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში, კვირას, 11 დეკემბერს, 15 საათზე გაიმართება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია. „თბილისი ივენთ ჰოლში“, ასევე ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება მხარდამჭერთა რეგისტრაცია. ამას გარდა, „თბილისი ივენთ ჰოლში“ დამონტაჟდება დიდი სატელევიზიო ეკრანი, რათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო გარეთ დარჩენილ მხარდამჭერებს მიეცეთ ღონისძიების ნახვის საშუალება.

## სახლის ნანგრევებში მოყოლილი კეთილმეზობლობა

უზნეობა

5

## მეწარმეობის განვითარებისთვის ზრუნვა თუ მეწარმეთა მოსყიდვის მცდელობა?

4

## სამომავლო პრიორიტეტები სადღეისო გადასახედიდან

4

## სენატორის ქალიშვილი საქართველოს ნატოში გაწევრების ლობირებას ცდილობდა, უშედეგო აღმოჩნდა

8

## განგაშის ზარი გიგანტური ჰესების წინააღმდეგ!

7

## იმდენი მაინც მაჭამე, შიმშილით რომ არ მოვკვდე“



6

ნოდარის კარიკატურა



№ 233. შაბათი, 10 დეკემბერი, 2011 წელი.

## ◎ აქტუალური ინტერვიუ

# ზურაბ ბიგვავა: ეს იქნება ყველაზე დიდი გაერთიანება, რაც კი აქამდე საქართველოში გვინახავს

**ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი, ფსიქოლოგი ზურაბ ბიგვავა Presage.tv-სთან საუბარში აცხადებს, რომ „ქართული ოცნება" — საზოგადოების ყველაზე დიდი გაერთიანება იქნება...**



**— ბიძინა ივანიშვილს თბილისში, იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთში ნაციონალებთან შედარებით უპირატესობა აქვს, მაგრამ რატომ არ არის ასეთივე წარმატებული თუნდაც სამეგრელოში? როგორ გგონიათ, რა იზიდავთ მეგრელებს მიშა სააკაშვილის პერსონაში?**

— სამეგრელოს სიტუაცია ცოტა სპეციფიკურია, იმის გამო, რომ იქ არის ძალიან ცენტრალიზებული ხელისუფლება, იქ არის ახალაიას ძალა, კლანი, რაც გინდათ, ის დაარქვით, რომელსაც აქვს ცენტრალიზებული კონტროლი დამყარებული მოსახლეობაზე. ამ ბოლო ხანებში ისიც გაცხადდა, რომ სწორედ სამეგრელოში ტარდება ყველა პიარაქცია... მაგალითად, დაიწყო კიდევ ლაზიკის წარმოუდგენელი პროექტი.

**— ლაზიკის პროექტი რატომაა წარმოუდგენელი?**

— წარმოუდგენელია, იმიტომ, რომ ნახევარი მილიონი ადამიანისთვის აშენებ ქალაქს, ამ დროს კი შენს მოსახლეობას, მილიონობით ადამიანს გასჭირვებია არსებობა, წამლის საყიდელი ფული არ აქვს. აქედან გამომდინარე, რაღაც ფარდობა ხომ უნდა არსებობდეს?

**— მაშინ რატომ მიდის ხელისუფალი ამ უტოპიამდე? ამით ვინმეს გულს მოიგებს?**

— ეს როგორი სიტუაციაა, იცით? დაახლოებით ნარკომანების მდგომარეობას მაგონებს, როცა პატარა დოზა უკვე აღარ ჰყოფნით. ტყუილს, რომელსაც ის ამბობს, მაგალითად, - „პლეხანოვის" რეაბილიტაცია, აღმოჩნდა, რომ ამ ქუჩის ფასადის უკან საშინელი მდგომარეობაა და სერიოზულადაა მისახედი. ხალხი მაინც უკმაყოფილოა, არა მარტო ისინი, ვინც ფასადის უკან ცხოვრობს, არამედ ფასადში მცხოვრებნიც უკმაყოფილონი არიან. ვიღაცის დასანახად რომ გაივლიან, ტაშს დაუკრავენ და იტყვიან, ოოო, მიშა შენ რა მაგარი ხარ... ეს მისთვის საკმარისი არ არის, ყოველთვის მეტი და მეტი დოზაა საჭირო. ახლახანს იყო ამ ერთი ქუჩის რეაბილიტაცია, გვახსოვს ბათუმის განახლება და ახლა რაღაც ახალი კიდევ ხომ უნდა მოიგონოს? სწორედ ესაა ლაზიკა. ამის შემდეგ, ალბათ, კოსმოსში ააშენებს რაღაცას.

**— რა უნდა გააკეთოს ბიძინა ივანიშვილმა იმისთვის, რომ მიიზიდოს ის ამომრჩევლებიც, რომლებიც მის მიმართ თავშეკავებულნი არიან? მარტო მეგრელებზე არაა საუბარი.**

— იცით, რა, მართალი უნდა ილაპარაკოს და ეცადოს, ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ ადამიანებს დაანახვოს, რომ მათ აღარ უნდა შეეშინდეთ. იქ, სადაც ცენტრალიზებული კონტროლი არსებობს, ამ შემთხვევაში, სამეგრელოში, ეს კონტროლი სხვა არაფერია, თუ არა შიში, რომელმაც მოსახლეობა მოიცვა. შიში უნდა მოიხსნას. არა მარტო იქ, არამედ - მთელ საქართველოში.

**— „მაესტროს" ფაქტორმა რამდენადმე ხომ არ დასწია ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი, რადგან თავიდან საუბრობდნენ, თითქოს ბიზნესმენი ამ ტელევიზიის შესყიდვას აპირებდა, შემდეგ ივანიშვილმა უარყო ეს წინადადება. ამდენად, რაც „მაესტროში" მოხდა, ესეც მის წინააღმდეგ ხომ არ იყო გათვლილი?**

— ჩემი აზრით, „მაესტროს" სიტუაცია და ამ კომპანიის ირგვლივ ამტყდარი აყალმაყალი, გახლდათ კერძო პირებს შორის გასარჩევი საქმე და ამას არ უნდა დაეზარალებინა თავად „მაესტრო". დღეს უკვე ცნობილი გახდა, რომ „მაესტროს" წილების 100 % დაყადაღებულია. ამან შეიძლება გარკვეული შეფერხება გამოიწვიოს მის მუშაობაში. გარდა ამისა, თავად ეს სიტუაცია და მისი „გარჩევა" რაღაცნაირად იმ მთავარი პროცესებისგან ყურადღების გადატანა იყო, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. საქართველოში მთავარი პროცესი კი ის არის, რაც ბოლოდროინდელმა სოციოლოგიურმა კვლევამაც აჩვენა, თუ რა აწუხებთ ადამიანებს, რამდენ ადამიანს აწუხებს ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, და რა არის საქართველოს მოსახლეობის მთავარი საწუხარი. ამისგან გადახვევა დაუშვებელია, ამაზეა ახლა სალაპარაკო, თანაც რაც შეიძლება ხშირად და ბევრჯერ.

ასეთი აზრიცაა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის რეზიდენციაში უსაფრთხოდ იყო და ხელისუფლება თავის პოლიტიკურ ველზე მის გაყვანას ვერ ახერხებდა. „მაესტროში" ამტყდარი სკანდალით კი ხელისუფლებამ იგი ირიბად თავის პოლიტიკურ სივრცეში გაიყვანა.

**— ბიძინა ივანიშვილს „მაესტროსთან" დაკავშირებით არც ერთი განცხადება არ გაუკეთებია. ერთადერთი განცხადება რაც გააკეთა, ის იყო, რომ „მაესტროს" ჟურნალისტების მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატა.**

**მაგრამ, თუკი ბიძინა ივანიშვილს ტელევიზია არ ექნება, პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენად წარმატებული იქნება?**

— დარწმუნებული ვარ, რომ იქნება ტელევიზიაც, რადიოც... და იმის საშუალებაც მოიძებნება, რითაც ადამიანებამდე მივა მისი სათქმელი.

**— რა შეფასებას მისცემთ IRI-ს კვლევას, სადაც პოლიტიკურად დაწინაურებული არიან „ნაციონალური მოძრაობა", ივანიშვილის პარტია და „ქრისტიან-დემოკრატები"?**

— შეფასება ძალიან მარტივია. ორი კვლევა, რომელიც ჩატარდა უფრო ადრე და ბოლოს, ერთმანეთს სარკისებურად ასახავს, შუა კვლევა კი ჩავარდნილია. ამდენად, ჩნდება ამ „შუა კვლევის" მიმართ კითხვები, რატომ მოხდა ამ კვლევის ჩავარდნა? თუ ფაქტორი ერთი და იგივეა და სხვადასხვა შედეგს ვიღებთ, ძალიან ლოგიკურია, გაჩნდეს შეკითხვა იმ შედეგის მიმართ, რომელიც გამოხტება ამ ზოგადი რიგიდან. ამიტომ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის" (იაგო კაჭკაჭიშვილისძ მიერ ჩატარებული კვლევის მიმართ არანაირი ეჭვი არ არსებობს და გოჩა ცქიტიშვილის კვალიფიკაციაც არ იწვევს არანაირ ეჭვს. ეს ორი კვლევა ერთმანეთს გარკვეულწილად ემთხვევა.

**— ითქვა ისიც, რომ თავის პარტნიორს — „თავისუფალ დემოკრატებსაც" წაართვა ხმები ბიძინა ივანიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, ისინი „ერთნი არიან".**

— ერთნი არ არიან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, პატარა ხმები თუ წაართვა „თავისუფალ დემოკრატებს", არც მაგაშია დიდი პრობლემა, რადგან დღეს ეს სამი ძალა (ივანიშვილის პარტია, „თავისუფალი დემოკრატები" და „რესპუბლიკელები"ძ პარტნიორები არიან და მათი ხმები ერთ ყულაბაში ჩაიყრება. ეს პრობლემა არ არის, „ნაციონალურმა მოძრაობამ" იკითხოს, თუ მას წაართმევს ბიძინა ხმებს და, როგორც ჩანს, რაღაც გარკვეულ პროცენტს უკვე ართმევს.

**— რას შეცვლის საქართველოსთვის „ქართული ოცნება"? როგორი იქნება მისი მთავარი გზავნილი და ადამიანური რესურსი?**

— „ქართული ოცნების" ადამიანურ რესურსზე ვერაფერს მოგახსენებთ. ერთს კი ვიტყვი, რომ მასში ძალიან ბევრი ადამიანი იქნება. ძირითადი პრინციპია, რომ ისინი იყვნენ პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანები. იქნება ბევრი ახალი სახე, ნაკლებად გვეყოლებიან ძველი სახეები, რაც ჩვენ გვინახავს ამ პოლიტიკურ არენაზე. ეს იქნება საზოგადოების დიდი გაერთიანება, ყველაზე დიდი გაერთიანება, რაც კი აქამდე საქართველოში გვინახავს. თანაც, ეს ადამიანები იმისთვის იქნებიან მობილიზებულნი, რომ კარგად დაინახონ საქართველოს მომავალი, ზუსტად განსაზღვრონ, საით უნდა წავიდეს ქვეყანა, რათა არჩევნები ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდეს.

**მანანა ნოზაძე**

## ◎ პოლიტიკური თამაშები

### სოსო ცისკარიშვილი: ოქტომბრის შემდეგ სრულიად სხვა საქართველოში ვცხოვრობთ



**ოქტომბრის შემდეგ სრულიად სხვა საქართველოში ვცხოვრობთ, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა განუცხადა.**

„ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ პოლიტიკური განწყობები მკვეთრად შეცვლილია. მოსახლეობაში ნიჰილიზმი და განწყობა, „რაც გინდათ ის გიქნიათ" თითქმის ორჯერაა შემცირებული. პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესებმა გაიღვიძა, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში მიძინებული იყო. ოქტომბრის შემდეგ ფაქტობრივად, სრულიად სხვა საქართველოში ვცხოვრობთ. ამიტომაც აქვს ივანიშვილს მაღალი რეიტინგი, რომელიც ბევრ ასპექტში მმართველი გუნდის და პრეზიდენტ სააკაშვილის წონასაც კი უსწრებს", — განუცხადა სოსო ცისკარიშვილმა „ინტერპრესნიუსს".

### ბიძინა ივანიშვილის მაღალი რეიტინგი იმის ნიშანია, რომ ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი ხდება



**სოციოლოგიურ გამოკითხვებში ბიძინა ივანიშვილის მაღალი რეიტინგი იმის ნიშანია, რომ ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი ხდება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განუცხადა.**

„ბიძინა ივანიშვილის სახით გაჩნდა რეალური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი ხელისუფლება დააბალანსოს და შეანელოს ის ავტორიტარული ტენდენციები, რაც ქვეყანაში არსებობს, მაგრამ მეორე მხრივ, ამაში გარკვეული მინუსიცაა. კერძოდ ის, რომ ქართული პოლიტიკა ისევ ორპოლუსიანი ხდება და ადგილს არ უტოვებს მესამე ძალას, რომელიც შეიძლებოდა სიტუაციის უფრო მეტად დამბალანსებელი გამხდარიყო", — განმარტა ხუხაშვილმა.

ექსპერტის აზრით, ქართულ პოლიტიკაში ორი პოლუსის შექმნას ხელს სწორედ ხელისუფლება უწყობს და ამ ახალ ტენდენციაზე პასუხისმგებელიც სწორედ ისაა.

„სამწუხაროდ, ეს არის ხელისუფლების არჩევანი, რადგან ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია ორპოლუსიანი დაპირისპირების მოედანზე გადავიდეს. ეს სამწუხარო რეალობაა და როგორც ჩანს, ამ თამაშის წესებით მოგვიწევს თამაში", — აღნიშნა ექსპერტმა.

## ◎ კანონმდებლები

### ლევან ვეფხვაძეს ბიუჯეტის პროექტის განხილვამ მოსკოვში მორბენალი „ნაშისტები" და „ქეთოს მზითევი" გაახსენა



**როგორც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, ფინანსთა მინისტრმა ბიუჯეტში ცვლილებები ისე „ჩაარაკრაკა, როგორც კინოფილმ „ქეთო და კოტეში" ქაბატომ მზითევის ჩამონათვალი.**

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ მომავალ წელსაც ხელისუფლებამ ვერ გამონახა ვეტერანების, მეორე ჯგუფის ინვალიდების და მარჩენალდაკარგულების დაზღვევისთვის და შეღავათების გაზრდისთვის საჭირო თანხები.

ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლება კონგენიალური მიღწევებით ტრაბახობს, ახალი გენიალური იდეები აწუხებს, მაგრამ ხელმოკლე ოჯახებს სახელმძღვანელოებსაც კი ვერ აძლევს.

ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლება სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის მოულოდნელად 11 მილიონი ლარის დამატებისთვისაც გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას ახალგაზრდები უცებ, არჩევნების გამო გაახსენდა.

— რატომ გაგახსენდათ ახალგაზრდები? არჩევნები ხომ არ არის შემთხვევით ამის მიზეზი? თქვენ გაგახსენდათ არჩევნები და მე გამახსენდა „ნაშისტები", მოსკოვში რომ დარბიან, რომლებიც მსგავსი ფულით ფინანსდებიან. ასევე, შექმნით ალბათ „ნაშისტებს" ამ 6 მილიონით და წინ და უკან არბენინებთ, — განაცხადა ვეფხვაძემ

### ჯონდი ბაღათურია 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს „გართობისა და დროსტარების" ბიუჯეტად აფასებს

**„ქართული დასის" ლიდერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს ჯიბის, გართობების, დროსტარების, ფანტაზიებისა და ახირებების ბიუჯეტად აფასებს.**



როგორც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას პარლამენტში გამართული დებატებისას ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, 2000 წელს, როდესაც ხელისუფლების შეფასებით, „ბნელი და უკუნი" სუფევდა, უშიშროების ხარჯებიც კი გაშიფრული და გამჭვირვალე იყო.

მისი თქმით, დღეს შესაბამისი ხარჯების შესახებ ინფორმაცია პარლამენტიდან მხოლოდ 5 კაცს აქვს — ე.წ. ნდობის ჯგუფს, რომელშიც დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ხელისუფლებასა და უმცირესობას, არ შეჰყავს.

— ჩვენი პრინციპული მოთხოვნაა, შევაჩეროთ ტაშფანდური, ჭამა-ყლაპვის ხარჯები და გადავიდეთ სოციალური ხარჯების დაფინანსებაზე, რომელიც ამ ბიუჯეტში ასახული და გათვალისწინებული არ არის, — განაცხადა ბაღათურიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ინფორმაცია

### ამომრჩეველთა ერთიანი სია ცესკოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს

**ამომრჩეველთა** ერთიანი სია ცესკოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს. საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიხედვით, ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის; მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ინტერნეტში — ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის.

საარჩევნო სიების საჯაროდ გამოქვეყნება ვენეციის კომისიის და ეუთოს ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

ვენეციის კომისია საქართველოს რეკომენდაციას აძლევს, რომ საარჩევნო სიების გამოქვეყნება მოხდეს საზოგადოებისათვის ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვენეციის კომისია საბოლოო დასკვნას 17 დეკემბერს გამოაქვეყნებს.

**ინტერპრესნიუსი**

ესეც ასე!

# პასპორტიზაცია ქუთაისურად,

## ანუ გამოკითხვა თუ დაკითხვა დაშინების მიზნით?

ქუთაისის ფინანსურმა პოლიციამ მეწარმეებს ჩამოურა, უფრო სწორედ, დიდი უმრავლესობა თავისთან იხმო და სპეციალური კითხვარის შევსება აიძულა. კითხვარს ქვევით შემოგთავაზებთ, მანამდე კი ერთ-ერთი ქუთაისელი მეწარმის ნაამბობს შემოგთავაზებთ, რომელმაც აღნიშნული კითხვარი მოგვაწოდა. ალბათ, მკითხველის დიდ გაკვირვებას არ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ მეწარმის უსაფრთხოების მიზნით, მის სახელს და გვარს ვერ დავასახელებთ.

მოკლედ, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ფინანსურმა პოლიციამ მაღაზიის გამგეები, სავაჭრო ცენტრების მესაკუთრეები და ყველა ის პირი დაიბარა, ვინც ბიზნესშია ჩართული.




„თანაც ყველა მათგანი რამდენჯერმე დაიბარეს და თათარიახნად შეთხზული ორგვერდიანი კითხვარი დაურიგეს, რომელშიც დეტალურად უნდა აღწეროს, თუ რისი მფლობელია, აქვს თუ არა მიწა, რამდენ პროცენტიან წილს ფლობს ბიზნესში, რომელ პარტიაშია, ვის უჭერს მხარს, ვის უჭერდა მხარს და ა.შ. ერთი თვალის გადავლებით მიხვდებით, რომ ეს კითხვარი სასწრაფოდ არის შედგენილი ვიღაც უწიგნურის მიერ და ამის გამო, ბევრი კითხვა მეორდება. თანაც, კითხვები ეხება არა მხოლოდ კონკრეტულად იმ ადამიანს, ვინაც კითხვარი უნდა შეავსოს, არამედ ამ ადამიანის ოჯახის წევრებს: დედას, მამას, და-ძმას, ბიძაშვილს და ა.შ.

ამ პროცესს კი პასპორტიზაცია დაარქვეს. ეს რა პასპორტიზაციაა? — ეს არის გამოძიება და, უწინარესად ადამიანების დაშინების მცდელობა, რომ ვინმემ არ გაბედოს და ხელისუფლების გარდა, სხვას არ დაუჭიროს მხარი. მეორე, აპირებენ გამოიკვლიონ ვის სად, რა აქვს, რომ ყველაფერი ზუსტად აღრიცხონ და შემდეგ, აკონტროლონ.

ეს არის სულ ახალი, რაღაც ორი-სამი დღის წინანდელი ამბავი. ჩემს შვილს მაღაზია აქვს და მასაც დაავალეს ამ კითხვარის შევსება. როდესაც გავიკითხე, აღმოჩნდა, რომ მსგავსი კითხვარი სხვებისთვისაც მიუტანიათ.

საინტერესო იცით, რა არის? თავად ურთიერთობის ფორმა. მეწარმეებს ჯერ იბარებენ ფინანსურ პოლიციაში, მთელი დღე აცდევინებენ და დღის ბოლოს ეუბნებიან, ხვალ მოდიო. მაშინ აძლევენ ამ კითხვარს, რომელზეც ისიც კი არ ჩანს, ვინაა მისი ავტორი. შესაბამისად, ვერ იტყვი რომელი ორგანიზაცია გავალდებულებს ამის გაკეთებას. აშკარაა, ეს არის დაშინების პოლიტიკა, რათა მართონ მეწარმეები და მათი მთელი ოჯახი და ნათესაობა“, — ყვება ქუთაისელი მეწარმე.

დაპირებისამებრ გთავაზობთ აღნიშნულ კითხვარს და კითხვებიდან გამომდინარე, თავად განსაჯეთ რას ემსახურება იგი.

### პასპორტიზაცია

1.ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი;

2.საწარმოს დორექტორის და დამფუძნებლების მონაცემები (ყველა მონაცემი):

სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი და საცხოვრებელი მისამართი, მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონების, საცხოვრებელი სახლის მისამართი, იმ უძრავი ქონების მონაცემები, რომელიც გაფორმებული არ არის პირზე, მაგრამ ფაქტობრივად ფლობს მას, ასევე მათი კვადრატულობა. მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მარკა, სახელმწიფო ნომრები, რამდენ %-იან წილს ფლობს საწარმოში დამფუძნებელი, მისი მობილური ტელეფონი და საცხოვრებელი ბინის ტელეფონი, რომელი პარტიის წევრია, ან რომელ პარტიას უჭერს მხარს, ნასამართლეობა, მონაწილეობა საწარმოს საქმიანობაში, აქ იგულისხმება რამდენპროცენტიან წილს ფლობს, ასრულებს თუ არა სხვა რაიმე ფუნქციებს საწარმოში. აქვე უნდა მიეთითოს, ფლობს თუ არა წილს საწარმოში თავად ან მისი ოჯახის წევრები, რეგისტრირებული ხომ არა აქვთ სხვა საწარმო თავად ან მისი ოჯახის წევრს;

3. საწარმოს იურიდიული მისამართი, ასევე ყველა ის მისამართები, სადაც შეიძლება იყოს განთავსებული ქონების ოფისი, დამხმარე შენობა-ნაგებობა, ტექნიკა და მანქანა -დანადგარები, ან უბრალოდ მიწის ნაკვეთი, ქონება, რომელიც ირიცხება საწარმო ბალანსზე. ეს მისამართები უნდა მიეთითოს იმ შემთხვევაშიც, თუ საწარმოს ფართი იჯარით არის აღებული ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, ასევე მიეთითოს იჯარის თანხა და დაქირავებული ფართის კვადრატულობა

4. საწარმოს საქმიანობის სფერო;

5. საწარმოს ბალანსზე რიცხული (კუთვნილი) მატერიალური ქონება, აქ იგულისხმება: მიწის ნაკვეთი (ფართობი, მდებარეობა) შენობა-ნაგებობები (მათი ჩამონათვალი მდებარეობის მითითებით) და სატრანსპორტო საშუალებები (ავტომანქანა, ტრაქტორი, ამწე და სხვა);

6. საწარმოს კუთვნილი არამატერიალური ქონება. აქ იგულისხმება:

ლიცენზია, ნებართვა (უნდა მიეთითოს თარიღი და ლიცენზიის ნომერი, ასევე საქმიანობისთვის არის მიღებული),

სესხი, ანაბარი (უნდა მიეთითოს როდის და რომელი ბანკიდან არის მიღებული სესხი ანაბარი და ასევე მიღებული ანაბრის ოდენობა),

7.საწარმოში არსებული ტელეფონის ნომერი. აქვე უნდა მოეთითოს ხდება თუ არა საწარმოში საბუღალტრო აღრიცხვა კომპიუტერით და რამდენი კომპიუტერი არის გამოყენებული;

8. საწარმოს საშტატო განრიგი. აქ უნდა მიეთითოს დაქირავებულ პირთა სახელი, გვარი პირადი ნომერი, თანამდებობა და საცხოვრებელი მისამართი. ასევე მათი მობილურის ნომერი;

9. საწარმოს მიმართ დაწყებულია თუ არა გამოძიება, გაფორმდა თუ არა საპროცესო გარიგება, თუ გაფორმდა, როდის და რა თანხა;

10. საწარმოს დირექტორისა და ყველა დამფუძნებლის ახლო ნათესავები. აქ ნათესავებში იგულისხმებიან: მეუღლე, დედა, მამა, შვილები, დები, ძმები. მათ შესახებ საჭიროა შემდეგი მონაცემები, საკუთრებაში არსებული ავტომანქანები (ყველა ოჯახის წევრები);

სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი;

პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი;

მათი სამუშაო ადგილი, თანამდებობის მითითებით;

მობილური ტელეფონის ნომერი;

მათ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა (მარკა, სახელმწიფო ნომერი);

რომელი პარტიის წევრია და ან რომელ პარტიას უჭერს მხარს;

მათი უძრავი ქონება.

გვანცა გიორგობიანი

ინფორმაცია

### ხმალაძე ვენეციის კომისიის რეკომენდაციას იზიარებს



კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მინიჭების თაობაზე ვენეციის კომისიის რეკომენდაციას იზიარებს და აცხადებს, რომ ეს გამოხატვის თავისუფლებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული.

როგორც ხმალაძემ „პირველს“ ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შეფასებისას განუცხადა, „საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება გულისხმობს ყველაფერს, გარდა ამომრჩევლის სტატუსისა“.

მისივე თქმით, „საქართველოს კანონმდებლობით ასეთი შეზღუდვა მხოლოდ არამოქალაქე პირებზე არ ვრცელდება და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება რელიგიურ ორგანიზაციებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც ეკრძალებათ“.

„ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ეს შეზღუდვა უნდა მოიხსნას და ამ რეკომენდაციას სრულად ვიზიარებ, ვინაიდან იგი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას — გამოხატვის თავისუფლებას ეხება“, — დასძინა ხმალაძემ.

შეგახსნებთ, რომ ვენეციის კომისია საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს იმის გამო აკრიტიკებს, რომ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. ამასთანავე, ის ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას იყენებს და აცხადებს, რომ კონკრეტულ ქვეყანაში მაცხოვრებელ ყველა პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დებატებში, თავი კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას დაუკავშიროს და საკუთარი შეხედულებები გამოხატოს.

### რუსი სამხედროების უმეტესობას ესმის, რომ მათი საქციელი გალის რაიონის ტერიტორიაზე უკანონოა

როგორც „პირველს“ გალის რაიონიდან სამხედროებთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა, „პირად საუბრებში სამხედროები ხშირად სინანულს გამოთქვამენ ყოველივე იმის თაობაზე, რისი გაკეთებაც ხშირად უწევთ, თუმცა აცხადებენ, რომ სხვა გზა არ აქვთ, რადგან მათი საარსებო წყარო სწორედ ეს საქმიანობა“.



„სამხედროები ხშირად აღნიშნავენ, რომ კარგად იციან, ვინაა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ხელფასებს სწორედ ის უხდის და სხვა გზა არ აქვთ. ასევე ამბობენ, რომ ე.წ. საზღვრებზე მოსახლეობის ყოველდღიური დაკავება უკანონოდ მიაჩნიათ, თუმცა ეს დავალებაა და იძულებულები არიან, შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის დაკარგვა მოუწევთ“, — განუცხადა „პირველს“ წყარომ.

ალსანიშნავია, რომ იმ რუსი სამხედროების უმეტესობის ასაკი, რომლებიც გალის რაიონში მდებარე სამხედრო ბაზებში ცხოვრობენ, 18-დან 25 წლამდე მერყეობს.

„პირველი“

ჩვენი პრესდაიჯესტი

გუშინდელი გაზეთებიდან

### ან - ომი, ან - ინაუგურაცია

დღეს ცხინვალში კომპრომისის მიღწევის ბოლო ცდა იქნება. უკვე სამი დღეა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ემისარი სერგეი ვინოკუროვი მოლაპარაკებებს კოკოით-ჯიოევას მხარეებთან მართავს, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ.

„რეზონანსი“.

### 11 დეკემბერს ფილარმონიაში...

— „ქართული ოცნების“ დაფუძნებაზე თბილისის საკონცერტო დარბაზში მიწვეულ სტუმართა შორის პოლიტიკური პარტიები არ იქნებიან. საერთოდ, ღონისძიება მოსაწვევებითაა, მაგრამ სტუმრები დარბაზის მხოლოდ კონკრეტულ ნაწილს შეავსებენ, დანარჩენებს კი — ნებისმიერი მსურველი, — ამბობს ივანიშვილის მრჩეველი ზურაბ ბიგვავა.

„ვერსია“

ინფორმაცია

### ალექსანდრე ანქვაბი სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალების გაცემას არ აპირებს

სოხუმის რეჟიმის ხელმძღვანელი ალექსანდრე ანქვაბი სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალების გაცემას არ აპირებს, — ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა სოჭის ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობებისთვის ინერტულ მასალებს, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით გასცემს. დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით, მაქსიმუმ, რისი იმედიც მოსკოვს უნდა ჰქონდეს, 2 მლნ კუბმეტრი ინერტული მასალაა.

მისი თქმით, მასალების მოპოვება აფხაზეთის ეკოლოგიისთვის უსაფრთხო გზით, მხოლოდ მდინარე კოდორიდან შეიძლება.

— დანარჩენი მდინარეების ამ მიზნით გამოყენებას ეკოლოგები ეწინააღმდეგებიან. ვერ დავუშვებთ, რომ მდინარეები ფსოუ, ბზიფი და გუმისთა საწარმო ობიექტები გახდნენ, — განაცხადა ანქვაბმა და დასძინა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებაზეც შეზღუდვებს დააწესებს.

— მასალების ტრანსპორტირებას საავტომობილო გზებით ვერ დავუშვებთ, რადგან გზის საფარი დაზიანდება. შეუძლიათ ტვირთი ზღვით და რკინიგზის საშუალებით გადაზიდონ, — განაცხადა ანქვაბმა.

ინტერპრესი

◎ ბიუჯეტი

# სამომავლო პრიორიტეტები სადღეისო გადასახედიდან

**ინფრასტრუქტურა, მათ შორის, განსაკუთრებით, ტურიზმთან დაკავშირებული პროექტები, სოფლის მეურნეობა და თავდაცვა საგაისოდ, 213 მილიონი ლარით გაზრდილი 7,634-მილიარდიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებებია. ახლახან განხილულ საბიუჯეტო ცვლილებათა პაკეტი პარლამენტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა.**

მომავალი წლის ბიუჯეტის ავტორები, კერძოდ, ფინანსთა ახლადდანიშნული მინისტრი დიმიტრი გვინდაძე, საპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებით, ამტკიცებენ, რომ 2012 წლის ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტში აქცენტები სწორადაა დასმული. საქმე ისაა, რომ პრიორიტეტები მიმდინარე წლის დარგების განვითარების დინამიკის გათვალისწინებით შეირჩა. როგორც აღინიშნა, თუმცა წლევანდელი ბიუჯეტის შედგენისას ვარაუდობდნენ, რომ საფინანსო წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტი 4,5 პროცენტით გაიზრდებოდა, ამ ხნის მანძილზე ეს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელი, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, რომელსაც მთელ რიგ ქვეყანაში მისი შემცირება მოჰყვა, დამატებით კიდევ 1,5 პროცენტით გაიზარდა და 6 პროცენტს მიაღწია, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებიც ეთანხმებიან. ამასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ, თუმცა წლის დამლევამდე კიდევ თითქმის ერთი თვეა დარჩენილი, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 6-პროცენტიან ნიშნულსაც გადააჭარბებს. რაც შეეხება აბსოლუტურ ციფრებს, მთლიანი შიდა პროდუქტის შარშანდელმა მაჩვენებელმა 20,8 მილიარდი ლარი შეადგინა, წლეულს კი ამ მაჩვენებლის 23,8 მილიარდამდე გაზრდას ვარაუდობენ. აღნიშნავენ იმასაც, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, წლეულს განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციითაა განპირობებული. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, რეალური ფისკალური დეფიციტი 3,7 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სარეიტინგო სააგენტოები, უწინარესად, ქვეყანაში ფისკალური კონსოლიდაციის სტრატეგიას აკვირდებიან. დიმიტრი გვინდაძის განცხადებით, ფისკალური კონსოლიდაციის ტენდენცია გაისადაც უცვლელად გაგრძელდება.

საქართველოსთვის რეიტინგის მომატებამ, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ინვესტორთა მხრიდან სანდოობის ხარისხის სავარაუდო ზრდამ, ერთი შეხედვით, ქვეყნის კომპანიებისთვის იაფიანი კრედიტების ხაზების გახსნის შესაძლებლობა უნდა შექმნას, რის შედეგად საბრუნავი სახსრები მეწარმეთათვისაც უფრო უნდა გაიაფდეს. თუმცა ექსპერტთა უმრავლესობა, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ამას ნაკლებად რეალურად მიიჩნევს. გარდა ამისა, არის ასევე მშპ-ს წარმოებაში სადღეისოდ არსებული დისბალანსის კიდევ უფრო მეტად გამძაფრების საშიშროება, რადგან, როგორც ბიუჯეტის ცვლილებების განხილვისას აღინიშნა, 2012 წლის პრიორიტეტული დარგებიდან (სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურული და ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტებიდანძ შემოსული სახსრები ამავე სექტორებში უნდა განთავსდეს.

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მართალია ინფრასტრუქტურული პროექტები ჩვენში მეტად მაღალი ტემპით ხორციელდება, რასაც ეროვნული ეკონომიკისთვის უაღრესად პოზიტიური შედეგი აქვს, საექსპერტო შეფასებებით გაისად მსოფლიო ეკონომიკაში ზრდის ტენდენცია თანდათან შენელდება. ექსპერტების განცხადებით, არსებობს იმის საფრთხე, რომ ევროპაში ამის გამო შექმნილი ფინანსური მდგომარეობა მრავალ ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც ნეგატიურად იმოქმედებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტების აზრით, საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ტენდენციების გაძლიერებას, ალბათ, ძირითადად რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ესენია, კერძოდ, უცხოურ ინვესტიციათა ნაკადის კლება, სავაჭრო სალდოს დისბალანსი, ასევე საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილთა შემცირება. უცხოეთიდან გზავნილებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ გზავნილთა მთავარი მიმართულებებია რუსეთი და საბერძნეთი, რომელთაგან ამ უკანასკნელში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა საყოველთაოდაა ცნობილი. უცხოელი ექსპერტები საქართველოსთვის ყველაზე დიდ პრობლემას გაზრდილ საგარეო ვალში ხედავენ, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 40 პროცენტს აღწევს, თუმცა შეღავათიანი გარემოება ისაა, რომ ქვეყნის ვალი ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან აქვს აღებული. ექსპერტები არახელსაყრელ ფაქტორად, ეკონომიკური ზრდის ფონზე, უმუშევრობის მაღალ დონეს მიიჩნევენ.

ამასთან, ცალკეა აღსანიშნავი, რომ საერთაშორისო ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს კონკურენტუნარიანი გარემო, თუმცა მოვლენები, როგორც ვხედავთ, კარგა ხანია საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს, რასაც, თუნდაც, საგაზეთო ჯიხურებთან ბოლო დროს განვითარებული ამბები მოწმობს.

**ოთარ მერიშვილი**

### ◎ ინფორმაცია თემაში

*საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „სტანდარდ ენდ ფურსის" რეიტინგით საქართველოს საკრედიტო რეიტინგმა B+ კატეგორიიდან BB-კატეგორიამდე აიწია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 200 ქვეყნიდან რეიტინგი ორს – საქართველოსა და ყაზახეთს მოემატა. ამის თაობაზე ცნობაში მითითებულია, რომ საქართველო ღია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და გონივრული საბიუჯეტო პოლიტიკის მიმდევარი ქვეყანაა, რომლის მშპ 2005-14 წლებში ერთ სულ მოსახლეზე 6 პროცენტს გადააჭარბებს, ხოლო ტურიზმის, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის სფეროების განვითარება ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების ნაკადის მომძლავრებას.*

◎ გადასახადი



# მეწარმეობის განვითარებისთვის ზრუნვა თუ მეწარმეთა მოსყიდვის მცდელობა?

## ფიქსირებული გადასახადი არჩევნებში დასაფიქსირებელი შედეგისთვის

**უახლოეს მომავალში მცირე მეწარმეებს საშუალება ექნებათ, დაბეგვრის ალტერნატიულ ფორმაზე გადავიდნენ. ფიქსირებულ გადასახადს მცირე ბიზნესი დიდი ხანია ითხოვდა. მოახლოებულმა არჩევნებმა და ივანიშვილის გააქტიურებამ მთავრობა იძულებული გახადა, ეს ნაბიჯი გადაედგა.**

**მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განმარტებით, პარლამენტი საშემოდგომო სესიის დასრულებამდე ყველა კანონპროექტს დაჩქარებული წესით მიიღებს, რათა მცირე მეწარმეებისთვის შეღავათის დაწესება დაკანონდეს.**

გია ხუროშვილის თქმით, ფიქსირებული გადასახადი დაწესდება იმ მეწარმეებისთვის, რომლების მომსახურებაზე არიან ორიენტირებული. მაგალითად, პურის საცხობებს აღარ დასჭირდებათ ბუღალტრის მომსახურება და ეცოდინებათ, კონკრეტულად რა მოცულობის გადასახადი ექნებათ. ფიქსირებული გადასახადი ექნებათ ვაჭრობაზე ორიენტირებულ მცირე მაღაზიებსაც.

ხუროშვილის თქმით, მეწარმეს არჩევანის უფლებაც ექნება: იგი თავად გადაწყვეტს, ფიქსირებული გადასახადი გადაიხადოს, თუ დარჩეს ჩვეულებრივ რეჟიმზე და აწარმოოს ადმინისტრირება.

ფიქსირებული გადასახადის ორი მოდელი ამოქმედდება. პირველი მოდელით ის მცირე მეწარმეები ისარგებლებენ, რომლებიც ემსახურებიან არა იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირებს. მათ არ სჭირდებათ იურიდიული პირებისთვის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა. გადასახადის ასეთი ფორმის არჩევის შემთხვევაში ამ კატეგორიის მეწარმეებს მოეხსნებათ სალარო აპარატის გამოყენების აუცილებლობა, საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება და აღარ დაიქირავებენ ბუღალტერს. ისინი დაიბეგრებიან კონკრეტული განაკვეთით თვეში ან კვარტალში. რაც შეეხება განაკვეთებს, ამას შემდგომ მთავრობა განსაზღვრავს საქმიანობის ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

შემოსავლების სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამ მოდელით სარგებლობას შეძლებენ ისეთი საწარმოები, მაგალითად, როგორებიცაა საპარიკმახერო, ავტომობილების მცირე სახელოსნო, მცირე პურის საცხობი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული გადასახადის მეორე მოდელი მორგებულია იმ მეწარმეებზე, რომლებიც ვაჭრობენ და მათი მომხმარებლები არიან ფიზიკური პირებიც. ამ ტიპის მეწარმეებსაც არ აქვთ შეხება იურიდიულ პირებთან და, შესაბამისად, არ სჭირდებათ იურიდიული პირებისთვის ხარჯის დამადასტურებელი და სხვა საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერა.

ასეთი კატეგორიის მეწარმეებს დაუწესდებათ ფიქსირებული გადასახადი ბრუნვის 3%-ის ოდენობით. პირველი მოდელით მოსარგებლე ბიზნესისგან განსხვავებით, მათ ექნებათ სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება, რათა 3%-იანი გადასახადი სალარო აპარატით დაფიქსირებული შემოსავლიდან დაანგარიშდეს.

**„ფიქსირებული გადასახადის არჩევის შემთხვევაში, ვაჭრობაში დასაქმებული მცირე მეწარმეებსაც აღარ მოუწევთ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება, შესაბამისად, გათავისუფლდებიან ბუღალტრის დაქირავების ხარჯებისგან.**

იხ. 7 გვ.

◎ იმედი

# სოფლის შენებას რა უნდა?

## რა და, ივანიშვილისნაირი ხელმძღვანელი!

**სანამ მთავარს ვიტყოდე, ერთი ინფორმაცია მინდა მივაწოდო პრეზიდენტსა და მის ცალტვინა ტაშისმკვრელებს (ვიცი, კედელზე ცერცვის შეყრაა, მაგრამ მაინც): გორელმა ბიჭმა, ჯერ კიდევ სოსელომ, თავის ერს უკვდავი ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" უძღვნა და დიდ ილიას თავი აკურთხებინა.** მერე მსოფლიო პროლეტარიატმა იგი თავის ბელადად აღიარა. პირსისხლიანი ფაშიზმისგან კაცობრიობის გადამრჩენი, ის სტალინი, თქვენ რომ ძეგლი მოჰპარეთ, რომელშიც პიკასოს დიდმა გენიამ მაკედონელის, იულიუს კეისრის, ნაპოლეონ ბონაპარტის ნიჭისა და გენის შერწყმა-გამონათება აღმოაჩინა, დღესაც უდიდესადაა აღიარებული... გასკდით გულზე, თქვენ იკითხეთ ტუტანაცარი რომ არ დარჩება თქვენგან, თორემ...

დიახ, ამ დიდმა ქართველმა 1944 წლის გვიან შემოდგომაზე დაიწყო თავისი დიდი ხნის ნაოცნებარი ქალაქის, მიწის პირიდან აღგვილ-გატიალებული რუსთავის ნაქალაქარის აღდგენა-აღმშენებლობა, მაშინ ჯერ ისევ გაგანია ომი მძვინვარებდა, მაგრამ მაინც დაიწყო. ჰოდა, ათასობით ტყვე გერმანელი შეუსია უდაბნოს, საქართველოს ყველა კუთხიდან დაიძრნენ მშენებლები. ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცი ფრონტზე კი არ გაგზავნა, რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში მიავლინა პროფესიის შესათვისებლად, ამავე დროს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან დაიძრნენ ეშელონები მოწყობილობა-დანადგარებით...

ქალაქის მშენებლობა ჯერ მძიმე მრეწველობის პირმშოთი, მეტალურგიული ქარხნის – საბჭოთა კავშირში სრული ციკლის ერთ-ერთი ქარხნით დაიწყო, რუსთავს აშენებდა მთელი საბჭოთა კავშირი, აგრეგატები შემოდიოდა გერმანიიდან, იაპონიიდანაც კი, და მხოლოდ 1948 წელს ეკურთხა ქალაქად. რუსთავი მერეც შენდებოდა, თანდათანობით 44 დიდი თუ მცირე საწარმო შეემატა ქვეყანას, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიც არის დიდი ქიმია „აზოტი", „ქიმბოჭკო", „ცენტროლიტი". მიუხედავად ამისა, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 160 ათასს ვერ გაცდა.

ჰოდა, ახლა ახალ ქალაქს, ისიც ნახევარ მილიონიანს რომ ააშენებ, ისე დაგიმშვენდეს ცხვირი, ეგ ზღაპარი შენს ბებია-ბაბუებს მოუყევი, თავზე ხელაღებული პროექტების თავზე ხელაღებულო პრეზიდენტო!

ახლა კი მთავარი: იმ დღეს ერთ დაწესებულებაში დილის თათბირს შევესწარი. დამინახა თუ არა მათმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა, ეგრევე, – ბატონო გივი, ჩვენ ყველანი ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები ვართო – მითხრა.

შევცბი, არ გეშინიათ-მეთქი?

– რაცა გვჭირს იმაზე მეტს რას გვიზამენო.

გესმის, მიშა? უკვე აღარ ეშინიათ!

და კიდევ: ორი დღის წინათ ბორჯომის მატარებლით ვიმგზავრე, ერთი ქართველი ოფიცერი გავიცანი, აფხაზეთსა და ცხინვალში ნაომარი, ფეხში ჩარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევი აწუხებდა. თავისი კოორდინატები მომცა, ბატონ ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებასთან იქნებ დამაკავშიროთ, ახლა გორში ვცხოვრობ და იქიდან ძალიან მიჭირს მასთან კავშირიო.

უფრო მეტიც, დაცვის ბიჭებიც დაგვემგზავრნენ, 18-20 წლისანი, საუცხოო უნიფორმებში გამოწკეპილნი. იმათაც გავესაუბრე, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე.

– ბიძია, არც თქვენ მოგწონთ ეს ხელისუფლებაო? –მკითხეს.

მეც ავუხსენი, თუ რატომ ვერ ვიტან ამ ანტიქართულ მთავრობასა და პრეზიდენტს.

ჰოდა, რომ ჩადიოდნენ, სათითაოდ გადამკოცნეს, – ჩვენც თქვენს რიგებში გვიგულეთო!

ცას ვეწიე სიხარულით. მათ შორის ორი ავლაბარში მიშას რეზიდენციის დაცვიდან იყო. ასე რომ, საქართველოს არ უწერია გადაშენება, ერი გადარჩება, და ეს მალე მოხდება!..

**გივი ჯახუა.**
რუსთავიდან

მეზობელო კარისაო (?!)

***იმ მრავალ გამორჩეულ ნიშან-თვისებას შორის, რომელიც თბილისს სხვათაგან მუდამ გამორჩევდა, განსაკუთრებულად გულიანი, სიყვარულიანი, ავ-კარგიანი მეზობლური ურთიერთდამოკიდებულება იყო ოდიდგან. კეთილმეზობლობას თბილისის ყველა ძირძველ უბანში ფესვები ისე ღრმად ჰქონდა გადგმული, რომ დღესდღეობითაც კი, როცა ცხოვრების ტემპმა არნახულად იმატა და ადამიანების შორის კავშირებმა საგრძნობლად ფერი იცვალეს, მაინც ძველებური ეშხი და ლაზათი არ დაუკარგავს და, დარწმუნებული ვართ, მომავალშიც ასე იქნება. ერთმანეთის ხელის გამართვა, ლხინის გაზიარება და ჭირში გვერდით დგომა თბილისური, უბნური სამეზობლოს დაუწერელი წესი იყო და არის, ამიტომაც განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს ამბავი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი და რომელიც, თითქოს, ერთგვარად გადახაზავს არა მხოლოდ თბილისური მეზობლობის ფენომენს, არამედ ადამიანთა შორის უბრალოდ პატიოსან დამოკიდებულებასაც ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს.***

# სახლის ნანგრევებში მოყოლილი კეთილმეზობლობა

ამბავი, რომელზეც მოგითხრობთ, თითქმის ორი საუკუნის წინათ დაიწყო, როცა მთაწმინდის უბანში, ახლანდელ ზიჩის ქუჩის 9 ნომერში, საცხოვრებელი სახლი ააშენეს, რომლის აივნიდან ქალაქის საოცარი ხედი იშლებოდა. ვინ იყო ამ სახლის პირველი მეპატრონე და რას საქმიანობდა, ამის შესახებ დღესდღეობით არავინ არაფერი არ იცის, თუმცა იმის დადგენა კი მოხერხდა, რომ მე-20 საუკუნის დამდეგს სახლი მეფის ოფიცერს, ვინმე პოლკოვნიკ ტრჟასკოვსკის ეკუთვნოდა. მერე დრო და ჟამი შეიცვალა, ხალხმა სხვა წესებით დაიწყო ცხოვრება და, სავარაუდოდ, 1920-იანი წლების შუა ხანებში პოლკოვნიკ ტრჟასკოვსკის ქვრივმა მეორე სართულის ორი ოთახი წმინდა გიორგის ჯვრის ორდენების სრულ კავალერს ნიკოლოზ ჩოტულოვს მიჰყიდა, ეგრეთ წოდებული „ოტსტუპნოი" წესით, რომელსაც ბინა თავის ქალიშვილისთვის, თამარისთვის უნდოდა. მერე ქალიშვილი დაოჯახდა და 1937 წელს სწორედ ამ სახლში მას შეეძინა ვაჟიშვილი გრანტ ჩოტულიდი. ამ ამბავს ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბობთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სწორედ ის ძველისძველი სახლი და ბატონი გრანტ ჩოტულიდი არიან ჩვენი მასალის გმირები. მათ გარდა არის კიდევ ერთი და... „მთავარი „პერსონაჟი", მაგრამ მის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, ერთი მცირედი განმარტების მსგავსი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ. იმის მიუხედავად, რომ ეგრეთ წოდებული „ოტსტუპნოით" საცხოვრისის შეძენა თბილისში დიდი ხნის მანძილზე აპრობირებული პრაქტიკაა, მაინც ვიტყვით, რომ სახლის (ან ბინისძ მეპატრონისგან გარკვეულ თანხად რაღაც ფართის მყიდველს რამდენიმე ხანში გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს, რის შემდეგ საცხოვრისის მფლობელი მას გადახდილ თანხას უბრუნებს და ის მას „ათავისუფლებს", ანუ „ოტსტუპნოით" გარკვეული ფართის შემძენი ჩვეულებრივი მობინადრესავით ცხოვრობს და ამ სტატუსის შესაბამისი ყველა უფლებით სარგებლობს. ამ პასაჟს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვენს ამბავში საკვანძო ადგილი უკავია.

ახლა ისევ ინჟინერ გრანტ ჩოტულიდის არცთუ სასიხარულო ამბავს დავუბრუნდეთ, რომელიც მან რედაქციაში სტუმრობისას გვიამბო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი თბილისის ისედაც მრავალტანჯულ ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდად სამუდამოდ დარჩება, როცა მისი ცენტრის ერთი ნაწილი – რუსთაველის პროსპექტი, სოლოლაკი, მთაწმინდა ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკებების არენად გადაიქცა. მოგეხსენებათ, მაშინ რუსთაველზეც, მთაწმინდაზეც მრავალი შენობა-ნაგებობა დაინგრა და დაიწვა, ხოლო მათი მაცხოვრებლები ავბედითი მოვლენათა უნებლიე მონაწილენი და მსხვერპლნი გახდნენ.

იმ დროისთვის, ზიჩის ქუჩის 9 ნომერში ორი ოჯახიღა სახლობდა – ერთი, როგორც უკვე იცით, ჩოტულიდების, მეორე კი კირთაძეების, რომლის ერთი წევრი, ქალბატონი ნესტანი, საქართველოში კარგადაა ცნობილი თავისი მეცნიერული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობით.

რადგან ზიჩის ქუჩაზე ცხოვრება მეტად სარისკო იყო, ბატონმა ჩოტულიდიმ ოჯახი უსაფრთხო ადგილას გახიზნა, ასევე მოიქცნენ კირთაძეებიც, უბნის სხვა მეზობლებიც, მაგრამ თავად ბატონი გრანტი და კიდევ რამდენიმე კაცი სახლების საპატრონოდ დარჩნენ, ემანდ, რამე ხიფათი რომ არ მომხდარიყო...

მერე ცხოვრება თანდათან ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, პოლიტიკური ვნებათაღელვაც მეტ-ნაკლებად მიწყნარდა, მაგრამ დროს, მოგეხსენებათ, თავისი მოაქვს. ერთ დღესაც, უფრო ზუსტად კი 1997 წლის 21 ოქტომბერს, ზიჩის ქუჩის 9 ნომერში მდებარე საუკუნენახევარს გადაცილებული ძველი სახლი დილაადრიან ჩამოიქცა და, რომ არა ბატონი გრანტის ქალიშვილის სიფხიზლე, მსხვერპლიც იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველანი ცოცხლები გადარჩნენ. აი, შემოდგომის იმ ავბედითი დღიდან იწყება გრანტ ჩოტულიდის ბედუკუღმართობის მეორე, გაცილებით უფრო მძაფრი მონაკვეთი, რომელშიც ახალი პერსონაჟები შემოდიან.

თუმცა მანამდე ერთ მცირედ ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ. ადრევე უმამოდ დარჩენილ ბატონ გრანტ ჩოტულიდის (მამა, პეტრე ჩოტულიდი, 1938 წლის რეპრესიებს შეეწირაძ, ცხადია, არ ახსოვს, მაგრამ ყველა საჭირო საბუთი ხელთ აქვს და, ამდენად, კარგად იცის, რომ მას შემდეგ ზიჩის ქუჩის 9 ნომერში მდებარე სახლის მობინადრეები იცვლებოდნენ ისევე, როგორც თავად სახლი იცვლიდა პატრონებს. რამდენიმე წლის მანძილზე სახლს ორი მეპატრონე ჰყავდა: პირველი სართული ქალბატონ რიმა ლეჟგიშვილს ეკუთვნოდა, რომლისგან 1988 წელს ეს ფართი საცხოვრებელი მეურნეობის კანტორამ იყიდა, ხოლო მეორე სართული კი, სადაც გრანტ ჩოტულიდის ორი ოთახიც იყო, ვინმე ქალბატონ ჭეიშვილის საკუთრება გახლდათ. სწორედ ამ ქალბატონისგან იყიდა 1990 წელს მთელი მეორე სართული (ჩოტულიდების ორი ოთახის ჩათვლით) ქალბატონმა ნესტან კირთაძემ.

ის, რომ იმდროინდელი კანონმდებლობის პირობებში ჭეიშვილსა და კირთაძეს შორის გაფორმებული ნასყიდობით ჩოტულიდების ოჯახის უფლებები შეილახა, თავად ჩოტულიდებმა, გამოუცდელობით, მოგვიანებით შეიტყეს. საქმე ისაა, რომ იმ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, ვიდრე თავის კუთვნილ ფართს გაასხვისებდა, სადაც, როგორც ვიცით, ორი ოთახი „ოტსტუპნიკებს" ჰქონდათ დაკავებული, ჩოტულიდის ოჯახს უფლება ჰქონდა მის მიერ დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულების 25 პროცენტის გადახდის შემთხვევაში ბინის სრულუფლებიანი მფლობელები გამხდარიყო და, თუ ამ ფართის გაყიდვა იქნებოდა შეთანხმებული, მას ქალბატონ კირთაძის თავადვე მიჰყიდდნენ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ასე არ მოხდა, ყველაფერი ძველებურად დარჩა, ოღონდ ახლა ჩოტულიდები უკვე კირთაძეებისთვის გახდნენ „ოტსტუპნიკები". მერე კი სახლი ჩამოიქცა და ეს ორი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

– მას შემდეგ, რაც ზიჩის ქუჩაზე სახლი ჩამოინგრა, სულ იმ დროს ველოდეთ, როდესაც მის ადგილას ახლის მშენებლობა დაიწყებოდა, ჩემს მშობლიურ უბანს რომ დავბრუნებოდი, – ამბობს ბატონი გრანტი. – დროდადრო გამგეობას ვაკითხავდი, ქალბატონ ნესტანსაც ვეხმიანებოდი და სანუგეშო მხოლოდ მისი სიტყვები იყო: ნუ გეშინიათ, საქმეს ერთად მოვუვლითო. მეც ამის იმედად ვიყავი, რომ გასაჭირს ერთობლივად გავუმკლავდებოდით...

ახლა წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ახლობლებისგან შევიტყვე, რომ ზიჩის ქუჩის 9 ნომერში საძირკველი ამოუთხრიათ და სახლის მშენებლობაც დაუწყიათ! მაშინვე მივაკითხე იქაურობას, მშენებლობის მწარმოებელი კომპანიაც დავადგინე, რომელიც ბატონ შ.ლეკიაშვილის კუთვნილი „იქს ვაი ზეტ ბილდერსი" აღმოჩნდა და გა[illegible]! გაფორმებული ხელშეკრულებით კი გაისად ოქტომბერში სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ქალბატონ კირთაძის ოჯახს 118 კვადრატული მეტრი ფართის ბინაში ახალმოსახლეობას იზეიმებს – ეს ზუსტად ის ფართია, რომელიც ჩვენს ორ ოჯახს ეკავა, მაგრამ ჩემი ოჯახი ამ „კომპენსაციაში" არანაირად გათვალისწინებული არ არის...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, პატივცემულო მკითხველო, რომ სავსებით გვესმის ის გულისტკივილი და აღშფოთება, რომლითაც ბატონ გრანტ ჩოტულიდის ოჯახი ამ ახალ ამბავს შეხვდა, რადგან, როგორც თავად ბატონი გრანტი ამბობს, წლების მანძილზე ქალბატონ კირთაძესთან და მის ოჯახთან თბილი, კეთილმეზობლური და ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა. ამდენად მისთვის სახლთან დაკავშირებული ამგვარი შეტყობინება მართლაც დაუჯერებელიც კი იყო. თუმცა მერე და მერე კიდევ ბევრი, მანამდე იდუმალებით მოცული ამბავი გაცხადდა. ჩოტულიდების ოჯახმა ახლა უკვე იცის, რომ ზიჩის № 9-ში მიწის ნაკვეთის გასაყიდი აუქციონი მთაწმინდის გამგეობამ ჯერ კიდევ... ცხრა წელზე მეტი ხნის წინათ, 2002 წლის მაისში გამართა, რის შესახებ ჩოტულიდებმა, ცხადია, არაფერი იცოდნენ. ანდა როგორ შეიტყობდნენ, როცა, როგორც გაირკვა, აუქციონის ერთადერთი მონაწილე და გამარჯვებულიც... ქალბატონი ნესტან კირთაძე ყოფილა (?!!ძ. ჰოდა, ამ ქალბატონმა 150 კვადრატული მეტრი ფართის მიწის ნაკვეთი თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულად პრესტიჟულ უბანში... 1500 ლარად (?!ძ იყიდა.

ამ ფაქტის „შუქ-ჩრდილებზე", რომლის შედეგად ჩოტულიდის ოჯახი „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა, ნებისმიერ კომენტარზე უკეთ ის გარემოება მეტყველებს, რომ, ბატონ გრანტის ინფორმაციით, შარშან, როცა ქალბატონმა კირთაძემ კომპანია „იქს ვაი ზეტ ბილდერს" ზიჩის ქუჩის 9 ნომერში მიწის ნაკვეთი მიჰყიდა, მან იგი უკვე... 150 ათას დოლარად შეაფასა, ამ თანხიდან 121 ათასი დოლარი ამჟამად მშენებარე 118-მეტრიან ბინაში გადაიხადა და... ჩოტულიდების ოჯახიც საბოლოოდ „მოიტეხა".

რამდენადაც რედაქციისთვისაა ცნობილი, საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს მიღებული „საცხოვრისით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ" კანონში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ თუკი 1996 წლის 27 ივნისამდე პირი (ოჯახიძ თბილისში რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, არენდატორია ის თუ „ოტსტუპნიკი", იგი მოცემული ნაგებობის კანონიერ მაცხოვრებლად ითვლება. ამასთან, როგორც კანონიერ მაცხოვრებელს, მასაც, სხვა მეზობლებთან თანაბარი, ბინის პრეტენზიის ქონის უფლება აქვს, თუკი ძველის ადგილზე ახალი სახლი შენდება.

წეღან აღვნიშნეთ, რომ ბატონ გრანტ ჩოტულიდს ხელთ აქვს საბუთების მთელი დასტა, მათ შორის, ცხადია უამრავი ცნობა იმის თაობაზე, რომ მრავალი წლის განმავლობაში ოჯახი ზიჩის ქუჩის № 9-ში ბინადრობდა – უბნელი მეზობლების მოწმობები, საცხოვრებელი ადგილის ჩაწერა-რეგისტრაცია, პირადობის მოწმობები საცხოვრებლის მისამართის აღნიშვნით. და სხვა. მათ შორის, რაიონის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება, რომ გამგეობა მის ოჯახს შვიდი თვის განმავლობაში უხდიდა ბინის ქირას როგორც დაზარალებულს. ყველა ეს საბუთი მშენებარე სახლში ბინის მიღების კანონიერ უფლებას ადასტურებს, რომელიც ჩოტულიდების ოჯახს აქვს, მაგრამ დღესდღეობით იგი უგულებელყოფილია. როგორც ირკვევა, ყოველივე ამის მიღმა ქალბატონ კირთაძის პირადი ინტერესები იკვეთება, რასაც ის გარემოება მოწმობს, რომ ჩოტულიდების ამბავი სამშენებლო კომპანიის მეპატრონე შ. ლეკიაშვილისთვისაც უცნობი ყოფილა.

უნდა ითქვას, რომ სადავო, ორჭოფული სიტუაციების წარმოქმნისას კანონმდებლობით პრობლემის გადაჭრის სავარაუდო ვარიანტებია გათვალისწინებული. ესენია, მაგალითად, სხვა მშენებარე სახლში ბინით უზრუნველყოფა, მშენებარე ბინის საბაზრო ღირებულების სამი მეოთხედის კომპენსირება, „ოტსტუპნიკთან" (ამ შემთხვევაში, ცხადია, ჩოტულიდების ოჯახთანძ ხელშეკრულების გაფორმება, რომლის თანახმად მას შეღავათიანი პირობებით შეუძლია მშენებარე სახლში ბინის შეძენა. მოკლედ, არჩევანი არის, მთავარია გული გულობდეს...



**წინამდებარე მასალა თბილისურ გამორჩეულ მეზობლობაზე ლაპარაკით და ამ ურთიერთობათა მოფერებით დავიწყეთ, რომელიც, სამწუხაროდ, სრულიად წაიშალა ჩოტულიდებისა და კირთაძეების ოჯახებს შორის, რის შედეგად ახლა მათი საქმე, ალბათ, თბილისის მერიის ანდა სასამართლოს გარჩევის საგნად უნდა იქცეს. თუმცა, როგორც ჩანს, ქალბატონ კირთაძეს თემიდის წყალობის იმედი აქვს, რომლის მსახურებმა ახლა უნდა არკვიონ, თუ რატომაა უგულებელყოფილი „ოტსტუპნიკის" კანონიერი უფლებები, რატომ დაირღვა კანონიერება მშენებელი კომპანიისთვის საქმის რეალური ვითარების გაუცნობლობით, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ვითარების სხვა გზით მოგვარებას ეცდებოდა!**

ოთარ ტურაბელიძე

რედაქციისგან: იმედია, ქალბატონი ნესტან კირთაძე გამოგვეხმაურება და დღემდე უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს ნათელს მოჰფენს.

## დროული მოსაზრებები

# გავურბივართ თუ არა დემოკრატიულ განვითარებას?

**პარლამენტში დავა და კინკლაობა იმის თაობაზე, გაიზარდოს თუ არა დეპუტატთა რიცხვი, საზოგადოებაში გაღიზიანების მეტს არაფერს იწვევს. რეალურად ეს ვერაგი ილეთია, ჩვენ, ამომრჩევლები, შეგვიტყუონ საპარლამენტო „წარმოდგენაზე“ და საბოლოოდ დაგვაკარგვინონ პრაგმატულად აზროვნების უნარი. პრაგმატულობა კი შემდეგშია:**

### პირველი.

**საპარლამენტო არჩევნები: ადამიანის გააზრებული და თავისუფალი არჩევანი, ამ არჩევნის გაკეთების სიმარტივე და გამჭვირვალობა... ჩვენში ეს უბრალო პრინციპები არავის აინტერესებს — არც ოპოზიციას, არც ხელისუფლებას და, ნუ გავოცდებით, არც ამომრჩეველს.**

პარტიული სიები, დღევანდელ რეალობაში, სატყუარაა. რატომ? პარტიულ სიაში მხოლოდ პირველი, მეორე, მაქსიმუმ მეხუთე ადამიანი თუ არის საზოგადოებისთვის ცნობილი — დანარჩენები „მატარებლის ვაგონებივით“ მიჰყვებიან ლიდერებს, როგორც გაუგებარი, ყველასთვის უცნობი, ლიდერების მორჩილი ჯგრო. ყველაფერ ამას ჩვენ პოლიტიკური პარტიისადმი ნდობის გამოხატულებით გვიხსნიან — ტყუილია. მაგრამ ჩვენ, ამომრჩევლები, ხმას არ ვიღებთ — რატომ? მასობრივი უპასუხისმგებლობა, ჩვენი სიზანტე ან სკეპტიკურობაა ხშირად ამის მიზეზი. რატომ უნდა ვენდოთ 50 ან 100, ჩვენთვის უცნობ, პარლამენტში მოხვედრის მსურველს? რატომ უნდა მივანდოთ მათ კანონშემოქმედება და მერე ამ კანონების თანახმად კანონმორჩილად ვიცხოვროთ? ის, რომ პარტიული ლიდერები გვარწმუნებენ მათ სიაში მოხვედრილი ყოველი წევრის მშვენიერ ადამიანურ თვისებებში და საზოგადოებისთვის მათი გულის მიერ სარგებლის და სიკეთის მოტანაში, ან მიამიტური სისულელეა (რაშიც ეჭვი მეპარება), ან პოლიტიკოსების ეგოისტური ცბიერობა.

ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელი ეტაპი გვიკარნახებს ქვეყნის მხოლოდ ერთმანდატიან ოლქებად დაყოფას და ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების მაჟორიტარული წესით არჩევას. ასეთი სისტემა სადღეისოდ ყველაზე ეფექტიანია, ვინაიდან ის მოსახლეობისთვის ადგილობრივი, კარგად ნაცნობი ადამიანების, ერთმანეთთან რეალური და სამართლიანი შეჯიბრის საშუალებას იძლევა. კანდიდატების პარტიულობა ან არაპარტიულობა დაე საარჩევნო ბიულეტენებში იყოს ნახსენები — ამომრჩეველი თვითონ განსჯის ყველაფერს და ეს, დამეთანხმეთ, პარტიული ლიდერების ხვეწნა-პროპაგანდაზე გაცილებით უკეთესია. სხვათა შორის, არჩევნების შედეგებშიც ნათლად გამოჩნდება, თუ რომელი პარტიიდან გავიდა პარლამენტში მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი და ამრიგად, რომელი პარტიის რიგებში უფრო მეტია სანდო და კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი, რომელი პარტია არის (ამ მაჩვენებლებით) უფრო გავლენიანი („რეიტინგული“) და რომელი — ნაკლებად. ან სულაც, შესაძლებელია, აღმოჩნდეს, რომ პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ უპარტიო კანდიდატები. ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამ ისტორიულ ეტაპზე საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ენდობა პოლიტიკურ პარტიებს და მათ ლიდერებს — არაპარტიულ, თავისუფალ ადამიანებზე ამყარებს იმედს.

რატომ არ აწყობს ეს უბრალო სქემა არც ოპოზიციას და არც ხელისუფლებას? ძალაუნებურად მივდივართ დასკვნამდე: პოლიტიკურ ლიდერებს (ოპოზიციიდან და ხელისუფლებიდან), მხოლოდ საპარლამენტო ხმების უმრავლესობა, მათი მორჩილი, უპასუხისმგებლო ადამიანთა ჯგუფი სჭირდებათ და არა კეთილსინდისიერი და გონიერი კანონშემოქმედნი. ერთი მხრივ, ეს პარტიული ლიდერების უმწიფრობაზე, გაზვიადებულ თავდაჯერებულობაზე ან სულაც მათ არადემოკრატიულობაზე მიანიშნებს. მეორე მხრივ, ეს პარტიულ სიაში მოხვედრილთა (დაწყებული 5-10 ნომრიდან) უმრავლესობის ქვეყნის მართვის უუნარობაზე, უპასუხისმგებლობასა და მათს კორუმპირებულობაზე მიანიშნებს. დაბოლოს: ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ნდობადაკარგული დეპუტატის გახმობის ქმედითი მექანიზმი.



### მეორე.

**ხელისუფლების მიერ გუბერნატორების და მერების დანიშვნა პრაქტიკულია, თუ მას ერთ წესს შევმატებთ. ეს სქემა ასეთია:**

ხელისუფლება ანდობს მათ ქალაქის ან რეგიონის მართვას და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხს აგებს. იმისთვის, რომ ეს პასუხისმგებლობა უფრო ეფექტიანი იყოს — დანიშნული გუბერნატორები და მერები ფხიზლად რომ იყვნენ, მათი (გუბერნატორების და მერების) მმართველობის ერთი ან წელიწადნახევრის თავზე რეგიონში ან ქალაქში ნდობის რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო. ეს დანიშნულ გუბერნატორებს და მერებს არ მოადუნებს — კორუფციას მოაშორებს და ხელისუფლებასაც მეტ პასუხისმგებლობას შესძენს: თუ რეფერენდუმმა უნდობლობა გამოუცხადა გუბერნატორს ან მერს, გასაგები გახდება, რომ გამოცხადებული უნდობლობა პირდაპირ მისკენაა მიმართული, რომ ის, ხელისუფლება, შეცდა და ეს შეცდომა ყოველ მიზეზგარეშე საჩქაროდაა გამოსასწორებელი. ხელისუფლების ასეთი შეცდომების სიმრავლე კი, უკვე მისი რეიტინგის მაჩვენებელიცაა და აუცილებლად უახლოესი არჩევნების დროს თავს იჩენს. ამრიგად, ხელისუფლებაც დაინტერესებული იქნება, არ შეცდეს — არ დანიშნოს გაიძვერა, ან არაკომპეტენტური ადამიანი.

როდესაც სახელმწიფო მართვის ეფექტიანობაზე ვლაპარაკობთ, ასეთი სქემა (პარლამენტის მხოლოდ მაჟორიტარებით დაკომპლექტება, მათი გამოხმობის რეალური საშუალება და დანიშნული გუბერნატორებისთვის და მერებისთვის ნდობა-უნდობლობის რეფერენდუმების ჩატარება) მართებულია. ამ შემთხვევაში პირდაპირ მოქმედებს ამომრჩევლის ნების გამოხატვის პრინციპი და მისი გადაწყვეტილების არაორაზროვნად და უშეცდომოდ აღსრულება. ამავე დროს, ერთი მხრივ, ეს პოლიტიკური სპექტრის სამართლიანი და ობიექტური დიფერენცირების საშუალებაცაა. მეორე მხრივ — შესაძლო პოლიტიკური ან სხვა სახის გადახრების დროზე და ობიექტურად გამოსწორების საშუალებაა.

ახალგაზრდა დემოკრატიის განვითარება-ჩამოყალიბების და დახვეწის ბევრი ვარიანტი არსებობს. პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მცირე განსხვავებებით, ახალი დემოკრატიების „ქრონიკული დაავადების“ ერთსა და იმავე სიმპტომებს ვაწყდებით: ახალ და უჩვეულო პირობებში არსებობისათვის მოსახლეობის უმრავლესობის მოუმზადებლობას; უხეში და უპრინციპო ოლიგარქიის, მონოპოლიური სტრუქტურების ჩამოყალიბებას და ხელისუფლებაში კორუფციის არსებობას. ეს სამი და მრავალი სხვა (მათგან გამომდინარე) მოვლენა დემოკრატიის ზედაპირულ, გარეგნულ სურათს წარმოშობს, რომელსაც, უბრალოდ, დემოკრატიის იმიტირება ჰქვია. დემოკრატიის ასეთი დამახინჯების გამოსასწორებლად ზემოხსენებული, მარტივი და ყველასთვის გასაგები მეთოდი უკეთესია, ვიდრე, დღევანდელი და სამომავლო, რთული და ნაკლოვანებებით სავსე სქემა.

ნებისმიერ ახალ პოლიტიკურ სისტემას უწინარესად სჭირდება „ანბანური“ სისადავე. დასავლეთის სხვადასხვა დემოკრატიულმა საარჩევნო სისტემებმა დიდი დროის განმავლობაში ჯერ დახვეწეს და შეამზადეს საზოგადოება, რომელმაც ეტაპობრივად, თავის ეთნიკურ-საზოგადოებრივ მენტალობაზე დაყრდნობით, მოირგო მისთვის გამოსადეგი ეს თუ ის საარჩევნო სისტემა. ჩვენ ერთდროულად ვცდილობთ სხვისი მონაპოვარის ასლი გადავიღოთ და ამასთანავე, მოვარგოთ ის ჩვენს „ავადმყოფობას“. იბადება კითხვა: რას წარმოადგენს ჩვენი საარჩევნო სისტემა, გავურბივართ თუ არა ევოლუციურ დემოკრატიულ განვითარებას?

მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს საპასუხო რეაქცია, რომ დაგვიანებულია რამე ალტერნატივაზე ფიქრი. ესეც მცდარი და მეტად საზიანო პოზიციაა. იმის განსჯა თუ რა გვჭირდება, არასდროს არაა დაგვიანებული. მთავარია კარგად გვქონდეს გააზრებული ყოველივე, მოულოდნელი შანსი ხელიდან რომ არ გავუშვათ. შანსი კი აუცილებლად გამოჩნდება — ისტორიის აჩქარებულ მსვლელობას ვერაფერი შეაჩერებს.

**მალხაზ ჟვანია**

## SIC!

# „იმდენი მაინც მაჭამე, შიმშილით რომ არ მოვკვდე“

**დილის 11 საათიდან რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე, მოქალაქეები პარკში ჩაწყობილი ცარიელი ქილებით ჩნდებიან. ისინი უფასო სასადილოს ბენეფიციარები არიან.**

ასეთი სასადილო რუსთავს ოთხი აქვს. დღეში ერთჯერად კვებას იღებენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების წევრები, ობლები, I და II ჯგუფის ინვალიდები და დაბადებიდან ინვალიდები, 1500-ზე მეტი ადამიანი .

უფასო სასადილოს ტალონს კიდევ ასობით რუსთაველი ითხოვს და ელის.

**„რუსთავში ყველაფერი ზედმეტად ჩქარა და კარგად მიდის. რამდენიმე წლის წინ ეს იყო მკვდარი ქალაქი, სადაც არ იყო სამსახურები“,** — ასეთი განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა რუსთავის იუსტიციის სახლის გახსნაზე.

„ზედმეტად ჩქარა“ — ასეთი ტემპით რუსთავში, დღეში ერთხელ, სადილის მისაღებად მსურველთა რიცხვი იზრდება. 2007 წელს ასეთ დახმარებას 1000 ადამიანი იღებდა, დღეს მათი რიცხვი 500-ით არის გაზრდილი. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ყველა მსურველის განცხადება რომ დააკმაყოფილოს, ალბათ ერთი ამდენი კიდევ დაემატება.

**„მევალება თვალყური ვადევნო მეგობრობის №41-ში მდებარე სასადილოს მუშაობას. მზარეულით და თანამშრომლებით კმაყოფილი ვარ. თუმცა, ბენეფიციარებთან ხშირად გვაქვს პრობლემები. არის შემთხვევები, როდესაც აქვთ ერთი ტალონი, ოჯახში რამდენიმე სული არიან და რაც ეკუთვნით იმაზე მეტის წაღებას ითხოვენ. მოაქვთ ქილები და გავსებას გვთხოვენ.**

**რაც შეეხება პურს... ჩვენს მიმართ პრეტენზია ვერავის ექნება. მენიუს ის ფირმა ადგენს, რომელმაც მერიის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. სწორედ მათი მენიუს შესაბამისად იღებენ ნახევარ პურს და ფუნთუშას ბენეფიციარები სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და კვირას. დანარჩენ დღეებში სადილთან ერთად ერთ პურს ატანენ“,** — გვითხრა, რუსთავის მერიის სოციალური სამსახურის თანამშრომელმა ფაცი ბახტაძემ.



ის, რომ ბენეფიციარებს დღეში ერთჯერადი კვება არ ჰყოფნით, სასადილოს მზარეულმა მანანა ბუწაშვილმაც იცის: **„ერთი ადამიანი დადის, რომელსაც 5 ოჯახის წევრი ჰყავს და ერთი ტალონი აქვს. მესმის, რომ არ ყოფნით ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი სადილი, მაგრამ მე რისი გაკეთება შემიძლია“?!**

სასადილოში მყოფი ბენეფიციარები ამბობენ, რომ მენიუთი კმაყოფილები არიან, თუმცა სასადილოდან გამოსულები პრობლემებზე იწყებენ საუბარს.

რუსთაველის ქუჩაზე და მეგობრობის გამზირზე მდებარე ორივე სასადილოს მომხმარებლები პურის საკითხზე ჩივიან. ამბობენ, რომ ნახევარი პური არ ყოფნით და თუ ნახევარი ფუნთუშის გამო არ აძლევენ პურს სრულად, ურჩევნიათ მენიუდან ფუნთუშა საერთოდ ამოიღონ.

უფასო სასადილო „სათნოების“ ერთ-ერთი ბენეფიციარი პირად საუბარში შემდეგს გვეუბნება: **„არ ვიცი, სხვა სასადილოებში რა და როგორ ხდება, მაგრამ ჩვენთან, როცა ხორციანი სადილის დრო გვაქვს, სადილზე ხორცი არის ნეკა თითის სისქის ნაჭერი. პური — დღეში 200გ, ანუ ნახევარ პურზე ნაკლები, რასაც გვაძლევენ, არ არის საკმარისი. მგონი, გესმით, რამდენად ძნელია, როცა სახლში საჭმელი არ გაქვს და სხვას უდგახარ კართან. იმდენი მაინც მაჭამე, შიმშილით რომ არ მოვკვდე“.**

მათი უმრავლესობა, ვინც აქ ყოველდღე დადის, სირცხვილით თავდახრილია. მესმის — არ ევალება მერიას ჩვენი რჩენა, მაგრამ იმ ერთხელ მაინც, როცა გვაჭმევს, ჩვენც ადამიანად ჩაგვთვალოს და ავადმყოფებივით „დიეტას“ ნუ დაგვინიშნავს“.

როგორც წესი, თვითმმართველობაში ასეთ საკითხებს რუსთავის მწირი ბიუჯეტით ხსნიან. რატომღაც სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის რუსთავის მერიას ფული არ ენანება, ავტოპარკის განახლებისთვის, კაბინეტების მოწყობისთვის და თვითმმართველობის სამსახურებში თანამშრომლების რიცხვის უსასრულოდ ზრდისთვისაც ასეა. ფულს არ ზოგავენ მივლინებებში, თუმცა ამ მივლინებებიდან ფეისბუქში მათ პირად გვერდებზე გაჩენილი ახალი ფოტოების გარდა არაფერი რჩება.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

დრო არ ითმენს




ბოლო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2012 წელს საქართველოში უნდა აშენდეს დაახლოებით ოცდაათამდე ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ისეთი გიგანტური ჰესები, როგორიცაა ხუდონის ჰესი, ნენსკრას ჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი, აჭარისწყლის ჰესების კასკადი, ჭოროხის ჰესების კასკადი, დარიალჰესი.

ამის თაობაზე განგაშის ზარი შემოჰკრეს: ახალმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ „შერიგების სივრცე: ბრძოლა უსაფრთხო მომავლისათვის,“საინიციატივო ჯგუფმა „კავკასიური სახლი,“ ასოციაციამ „მწვანე ალტერნატივა,“ საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ, ასოციაცია „ლოზომ“, ასოციაციამ „უსაფრთხო სივრცე.“

„ამ პროექტების განხორციელების შედეგად წყლის ქვეშ აღმოჩნდება (ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის) სულ მცირე 2000 ჰექტარი ფართობი: ნაყოფიერი სავარგულები, უძველესი ქართული სოფლები, კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა; გადაგვარდება რიონის, ენგურის, თერგის და სხვა მდინარეთა ხეობები, განადგურდება აქ არსებული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება; დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტად დააზიანებს ისედაც საგანგაშოდ დაზიანებულ სასიცოცხლო სივრცეს და დააჩქარებს ეკოლოგიურ კატასტროფას საქართველოში,“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ნაირა გელაშვილი სტატიაში „ჩვენ?“აღნიშნავს: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში ცხოვრება შეუძლებელი გახდება, რადგან: დაგუბებული აღმოჩნდება ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მდინარე (ენგური ხომ ისედაც კარგა ხანია წუმპედ არის ქცეული). თერგი, არაგვი და სხვა. წყლით დაიფარება ათასობით ჰექტარი სავარგული, ისტორიული სოფლები, ეკლესიები, სხვა სიწმინდეები, საფლავები, კულტურული მემკვიდრეობა. ნესტი და ობი გაუჯდება სახლებს, ეკლესიებს, ფრესკებს, ხელოვნების ნიმუშებს.

რაკი დაგუბებული მდინარეები ზღვაში ქვა-ღორღს აღარ ჩაიტანს, ზღვა შემოიჭრება ნაპირზე და განუხრელად დაიწყებს ხმელეთის მიტაცებას (როგორც ეს მრავალი წელია ხდება ენგურის დაგუბების შედეგად) და რაც ყველაზე საშინელია: დიდ წყალსაცავებს მიწისძვრების პროვოცირება შეუძლიათ. საქართველოში კი წყალსაცავების რიცხვი ისედაც დიდია.“

მწერლის თქმით, ტექნოკრატიულ მაფიას აინტერესებს მხოლოდ გიგანტური ტექნიკური პროექტები, რადგან აქ უზარმაზარი თანხების მითვისებაა შესაძლებელი. ამიტომ უარყოფს იგი იმ ალტერნატიულ გზას, რომელიც უსაფრთხო მომავლის გარანტიაა: ეს არის მცირე ჰესები, და ე.წ. განახლებადი ენერგიები, ანუ მზისა და ქარის ენერგია, რის მაქსიმალურ ათვისებაზეც კარგა ხანია მუშაობენ განვითარებული ქვეყნები.

„უდიდესმა ეკოლოგიურმა განსაცდელმა, რის წინაშეც დგას საქართველო, გვიბიძგა დაგვეფუძნებინა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა: „შერიგების სივრცე – ბრძოლა უსაფრთხო მომავლისათვის,“ ამ მოძრაობას შეუძლია გააერთიანოს ყველა – პოლიტიკის ველზე ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანები თუ ორგანიზაციები. მხოლოდ ეს შერიგება და ერთიანობა გადაარჩენს საქართველოს სასიცოცხლო სივრცეს, როგორც გადაარჩინა 20 წლის წინათ.

ამ ეტაპზე ყველა მოქალაქეს, საზოგადოებრივ გაერთიანებას და პოლიტიკურ პარტიას ვთხოვთ დარეკვით, წერილით, ფაქსით თუ ელექტროფოსტით დაგვიდასტუროს თავისი პროტესტი გიგანტური ჰესების აგების წინააღმდეგ. ან ხელი მოაწეროს ჩვენს მიერ გავრცელებულ ბლანკს.

ჩვენ მოგიწოდებთ, არც ერთ შემთხვევაში არ მისცეთ ხმა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც არ ილაშქრებს გიგანტური ჰესების წინააღმდეგ, რომელსაც არ აქვს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონკრეტული პროგრამა, რომელიც არ იზიარებს კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ გზას, გამოხატულს დევიზით; „ეკონომიკა ექვემდებარება ეკოლოგიას.“

facebook-ზე შექმნილი ჯგუფი „გადავარჩინოთ ლეჩხუმის კლდედალმართი (რიონის ხეობა)“ მოითხოვს მორატორიუმის გამოცხადებას ჰესების მშენებლობაზე მანამ, სანამ სპეციალისტების, დამოუკიდებელი (მათ შორის, უცხოელი“ ექსპერტების, გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით არ მოხდება მოსალოდნელი შედეგების მეცნიერული პროგნოზირება, კომპეტენტური შეფასება – საექსპერტო ანალიზი უნდა ჩაუტარდეს ყოველ ცალკეულ პროექტს (მათ შორის, მცირე ჰესების პროექტებს, რომლებმაც, გარკვეულ შემთხვევაში, არანაკლები ზიანი შეუძლება მოიტანონ“.

ყველა მოსალოდნელი შედეგი, დადებითიც და უარყოფითიც, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს და საჯარო განხილვის საგნად იქცეს.

საბოლოო, გონივრული გადაწყვეტილება ხელისუფლებამ საზოგადოებასთან შეთანხმებით უნდა მიიღოს (თუნდაც ამისთვის პლებისციტის ჩატარება გახდეს საჭირო“.

ჯგუფი სოლიდარობას უცხადებს ქალბატონ ნაირა გელაშვილის თაოსნობით დაწყებულ მოძრაობას „შერიგების სივრცე – ბრძოლა უსაფრთხო მომავლისათვის“, და ყველა ორგანიზაციასა თუ კერძო პირს, ვინც აღნიშნული პრობლემა გულთან ახლოს მიიტანა, გაითავისა:

„მოგიწოდებთ აქტიურად გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება – ონლაინ ხელი მოაწერეთ შემდეგ განცხადებას გიგანტური ჰესების წინააღმდეგ.

გულხელდაკრეფილი ჯდომა დამღუპველია – დრო არ ითმენს!

მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ წინ აღვუდგეთ საქართველოს ბუნებისა და ქართული სოფლების განადგურებას აჭარაში, ლეჩხუმში, მთიანეთსა თუ სვანეთში“.

მოძრაობა მოქალაქეებს გიგანტური ჰესების წინააღმდეგ განცხადებაზე სთხოვს ხელმოწერას, რომელიც უნდა გაიგზავნოს მისამართზე: ქ.თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ან მიეწოდოთ დასკანერებული ვერსია ელფოსტაზე: garemo@garemo.org. ან ფაქსზე: 2223874. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა: „შერიგების სივრცე: ბრძოლა უსაფრთხო მომავლისათვის.“

**თამარ შაიშმელაშვილი**

გადასახადი

# მეწარმეობის განვითარებისთვის ზრუნვა თუ მეწარმეთა მოსყიდვის მცდელობა?

(მეოთხე გვერდიდან)

**კიდევ ერთი შეღავათი, რომლითაც ორივე კატეგორიის მეწარმეები ისარგებლებენ, ისაა, რომ გაუქმდება 100 000-ლარიანი ზღვარი დღგ-ს გადამხდელად აღრიცხვისთვის. მეწარმეს შეეძლება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისმა შემოსავალმა წელიწადში გადააჭარბა 100 000-იან ზღვარს, გააგრძელოს ფიქსირებული გადასახადის გადახდა და არ გახდეს დღგ-ს გადამხდელი“,** – განაცხადა ებანოიძემ.

შემოსავლების სამსახურის უფროსი ფიქსირებული გადასახადის შემოღების მიზეზებზე ღიად საუბრობს და განმარტავს, რომ დღეისათვის არსებული რეგულაციით, ბიზნესს ურჩევნია მიკრობიზნესის სტატუსით ისარგებლოს და შემდგომ განვითარებაზე აღარ იზრუნოს, რაც საბოლოო ჯამში ყველა მხარისთვის წამგებიანი ხდება.

**„ბიზნესები, რომლებიც გარკვეული რეგულაციის შემოღებამდე არ გადიოდნენ მიკრობიზნესის რეგულაციაში, რეგულაციის შემოღების შემდეგ მათი ხელოვნურად დახლეჩვა მოხდა. მაგალითად, სილამაზის სალონები იყვნენ იურიდიული პირები, შპს-ები ან სხვა, თუმცა მიკრობიზნესის სტატუსის შემოღების შემდეგ, ბიზნესების დაყოფა მოხდა; ანუ სალონს მმართველი იგივე ჰყავს და ის ნაღდი ანგარიშსწორებით იგივე შემოსავალს იღებს, თუმცა მათ თითოეული ხელოსანი მიკრომეწარმეებად დაარეგისტრირეს და არ იხდიან გადასახადებს. ე.წ. ბიზნესის მმართველი შემოსავალს ისევ ძველებურად იღებს და გადასახადებს აღარ იხდის.**

**მეორე მხრივ, ასეთი დახლეჩილობით ჩვენც ვკარგავთ შემოსავლებს და მივიღეთ ისეთი სიტუაცია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეს ექმნება იმის საფუძველი, რომ მცირედ ან მიკროდ დარჩეს. მათ გამსხვილება-გაფართოვების ინტერესი აღარ აქვთ. ვერ ნახავთ ისეც მცირე მეწარმეს, რომელიც ზრუნავს გაფართოებაზე, ექსტერიერისა და ინტერიერის გალამაზებაზე, საკუთარი ბრენდის შექმნაზე და ა.შ.“,** – აცხადებს ებანოიძე.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურმა ალტერნატიული, ფიქსირებული გადასახადების ცნება შემოიღო, რათა ბიზნესს განვითარების საშუალება მიეცეს, საკუთარ თავში აღარ ჩაიკეტოს და სამომავლოდ საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე იფიქროს.

შემოსავლების სამსახურის ახალ ინიციატივას ექსპერტები კრიტიკულად აფასებენ. **„ასეთი გადასახადის ამოქმედება არის სისულელე. გამოდის, რომ მალე ადამიანი კომპანიისთვის ზედნადების გამოწერით 5 ბოთლ მინერალურ წყალსაც კი ვეღარ იყიდის. თბილისში და არა მარტო თბილისში ვეღარ იპოვით ისეთ მაღაზიას, რომელიც იურიდიულ პირს მოემსახურება, არავის მოუნდება იყოს დღგ-ს გადამხდელი და ყველა უარს იტყვის კომპანიის მომსახურებაზე.**

**რაც შეეხება სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან თონეების, სილამაზის სალონების, პროფილაქტიკების გათავისუფლებას, ესეც არ მესმის რატომ ხდება. თუმცა მიზეზი გასაგებია, არჩევნები მოდის და ამით ისინი მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების გულის მოგებას აპირებენ, რაც შემდგომ მათ მიერ ხმის მიცემით დასრულდება“,** – განაცხადა ექსპერტმა ირაკლი შავიშვილმა.

**ეკა ბაქრაძე**

ადამიანის ფსიქოლოგია

# ორატორთა მიმზიდველობის საიდუმლო

**ურთიერთობა ყოველი ადამიანისთვის იმდენად ჩვეული რამ არის, რომ იმაზე დაკვირვება, თუ რამდენად სწორად ვლაპარაკობთ, ხშირად აზრადაც არ მოგვდის. ერთი შეხედვით, ზრდასრულ ადამიანს ამ მხრივ პრობლემები არც უნდა ჰქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით, რომ თანამოსაუბრემ სწორად ვერ გაგვიგო. ამიტომ, თუ გსურთ, რომ ყოველთვის სწორად გაგიგონ, საამისოდ ღირს სპეციალისტების რჩევების მოსმენა, საუბრის მანერაზე დაკვირვება, სიტყვების შერჩევა და, ამასთან, ადამიანის აღქმის უნარის თავისებურებათა გათვალისწინებაც. ეს იმიტომ, რომ, თურმე...**



- ჩვეულებრივ ადამიანი იმის მხოლოდ 80 პროცენტს ამბობს, რის თქმაც უნდა, მისი მსმენელები კი ინფორმაციის 70 პროცენტს აღიქვამენ, რომლიდანაც მხოლოდ 60 პროცენტი ესმით, დამახსოვრებით კი ნათქვამის მარტო 10-დან 25 პროცენტს იმახსოვრებენ;
- 13-ზე მეტი სიტყვისგან შემდგარი ფრაზების არსს ადამიანის გონება ვერ აღიქვამს;
- მსმენელები მეტყველებას მხოლოდ მაშინ აღიქვამენ, როცა კაცი წამში 2,5 სიტყვაზე მეტი სიჩქარით არ ლაპარაკობს;
- თანამოსაუბრე წინადადებას აღარ უსმენს, თუკი მას შეუჩერებლად 5-6 წამზე მეტ ხანს წარმოთქვამენ;
- აღქმის აქტივობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა კაცის მიერ მოსმენილ ინფორმაციას მეხსიერებაში მის პირადულ მოგონებათა გაცოცხლება;
- პირველად შეტყობილ ცნობას მერე გაგებულ ინფორმაციაზე უფრო მეტად ენდობიან;
- ადამიანები უკეთ იმახსოვრებენ ინფორმაციის პირველ და ბოლო ნაწილებს, მისი შუა ნაწილი კი ხშირად ავიწყდებათ;
- გარკვეულ თემაზე ჩვენი ყურადღება მხოლოდ 6 წუთის განმავლობაშია ხოლმე სრულად კონცენტრირებული. ამ დროის გავლის შემდეგ კაცმა ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადაიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ ინფორმაციას იგი სრულად ვერ აღიქვამს;
- მეგობრული ინტონაციიდან არამოტივირებულ მტრულ განწყობაზე გადასვლა მსმენელებში გაშეშებას, შიშსა და ემოციურ შოკსაც კი იწვევს. ამდენად, რაიმეს გაგებაზე ლაპარაკიც არ არის;

**ყველა ეს პრინციპი, ცხადია, ოჯახურ ურთიერთობებშიც მოქმედებს, თუმცა ახლობლის ლაპარაკის მანერასთან შეჩვევა აღქმას გარკვეულწილად აუმჯობესებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ საპირისპიროდაც ხდება. მაგალითად, ოჯახში, სადაც ცოლი ხმამაღლა, მენტორული ტონით ლაპარაკსაა მიჩვეული, მისი ორი-სამი ფრაზის შემდეგ ქმარი გონებას „თიშავს“ და, უბრალოდ, აღარ უსმენს. ამდენად, თუკი მეუღლის გონებამდე თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაყვანა გსურთ, ადამიანური ფსიქიკის თავისებურებანი უნდა გაითვალისწინოთ.**

**და კიდევ ერთი საგულისხმო ინფორმაცია. ქალები ხშირად სიტყვაძუნწ მამაკაცებს უჩივიან, რომელთაგან ზოგჯერ სიტყვას ვერ გაიგონებ. ამიტომაცაა, რომ მათ ენაწყლიანი მამაკაცები იზიდავენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლამაზად და გონიერად მოსაუბრე მამაკაცთა ორგანიზმი მამაკაცურ ჰორმონ ტესტესტერონს დიდი ოდენობით შეიცავს. ამდენად, გავრცელებულ აზრს, რომ რაც უფრო კარგად მეტყველებს მამაკაცი, მით უფრო მიმზიდველია იგი როგორც სექსუალური პარტნიორი, როგორც იქნა მეცნიერული დადასტურება გაუჩნდა.**

**დალი ხუნდაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სენატორის ძალისხმევა, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრების ლობირებას ცდილობდა, უშედეგო აღმოჩნდა

**ამერიკელი სენატორი ცდილობდა, ლობირება გაეწია საქართველოს ნატოში გაწევრიანებისათვის, მაგრამ ეს ძალისხმევა ჩაიშალა, — წერს Eurasianet.org.**

სტატიის ავტორი, ჯოშუა კუცერა აღნიშნავს, რომ გასულ კვირას, როდესაც სენატორთა უმრავლესობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე, ომის დაფინანსებასა და ამერიკელების საკონსტიტუციო თავისუფლებებზე იყო კონცენტრირებული, სენატორი მარკო რუბიო უფრო უცხო ქვეყნის ბედზე წუხდა.

როგორც სტატიაში ნათქვამი, ის ცდილობდა, კულუარებში ისეთი კენჭისყრის მოწყობაზე დაეთანხმებინა სენატის წევრები, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრებას დააჩქარებდა.



**„გამარტივებულ პროცედურას, რომლის მეშვეობითაც უნდა მიეღოთ ეს გადაწყვეტილება, ერთსულოვანი თანხმობა ეწოდება. მაგრამ გადაწყვეტილება არ მიიღეს იმიტომ, რომ სენატორმა რენდ პოლმა მარტომ აღკვეთა ეს მცდელობა. ეს ტრივიალური საკითხი არ გეგონოთ. არ შეცდეთ — საქართველოს ნატოში გაწევრებამ შეიძლება შეერთებული შტატები ახალ სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიოს, ამიტომაც საქართველოსთვის ამ საკითხში ხელშეწყობა საჯარო დებატების საგანი უნდა გახდეს. რუბიოს მცდელობა, ყოველგვარი დებატებისა და კენჭისყრის გარეშე, საკითხი ერთსულოვანი თანხმობით გადაეწყვიტა, — უკიდურესად საეჭვოა და სენატორის გონიერებას ეჭვქვეშ აყენებს“,** — წერს ავტორი.

სტატიაში ნათქვამია, რომ რეზოლუცია პრეზიდენტს მოუწოდებდა, ისეთ დიპლომატიურ ძალისხმევას ჩადგომოდა სათავეში, რომელიც ნატოს ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მინიჭებას უზრუნველყოფდა.

**„რუბიო და პოლი ახალბედა სენატორები არიან. ისინი 2010 წელს აირჩიეს და საგარეო-პოლიტიკური კურსის ორ პოლუსს წარმოადგენენ — რუბიო ამერიკის ძალისმიერი განსაკუთრებულობის იდეის მომხრეა, ხოლო პოლი იზოლაციონიზმისა და მცირე მთავრობის. რუბიოს ნაბიჯი რუსეთის სიმბოლურ გაღიზიანებას ისახავდა მიზნად, რადგან რეზოლუციის მიღების შემთხვევაშიც კი ის შედეგს ვერ გამოიღებდა. საქართველოს ნატოში გაწევრების ძალისხმევა, არა მხოლოდ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს გაამწვავებს, რაც შეიძლება რუბიოს სურს კიდეც, არამედ აუცილებლად გაამძაფრებს დაძაბულობას საქართველოსა და რუსეთს შორის და კონფლიქტის ახალ რაუნდს დააჩქარებს. ნატოში საქართველოს გაწევრება არ ემსახურება ამერიკის ინტერესებს და ის მხარდაჭერა, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის მმართველობისას ჰქონდა საქართველოს ამერიკის მხრიდან, მისთვისაც დამღუპველი აღმოჩნდა“,** — ნათქვამია სტატიაში.

თუმცა, ავტორი აღნიშნავს, რომ რუბიოს დოკუმენტს, მიღების შემთხვევაშიც, დიდი შედეგი არ ექნებოდა. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც საქართველო ნატოში არ მიიღეს, ის არის, რომ წამყვან ევროპულ მთავრობებს არ აინტერესებთ ალიანსის უსაფრთხოების გარანტიების გავრცელება ასეთ ღარიბ და დანაწევრებულ ქვეყანაზე.

**„საინტერესოა ისიც, რომ რუბიოს რეზოლუცია საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მინიჭებას ისახავდა მიზნად, ანუ იმას, რაც 2008 წელს დღის წესრიგიდან მოიხსნა ნატო-საქართველოს საბჭოს სასარგებლოდ. მას შემდეგ სამოქმედო გეგმაზე ბევრს აღარც ლაპარაკობენ და თავის საჯარო გამოსვლებში ამას, თითქოს, თვით საქართველოს მთავრობაც კი ეთანხმება. საინტერესოა, საქართველოს ლობისტები კულუარებში ისევ განაგრძობენ სამოქმედო გეგმის ლობირებას? თუ რუბიო ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ინიციატივით ურჩობს? იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები იძაბება, ერთი კითხვა მებადება — ხომ არ არის ეს ის თემა, რომელსაც მომავალი წლის არჩევნებში რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატი წინ წამოსწევს“?,** — წერს ავტორი.

# საქართველო: ლობისტები და სხვა PR ცხოველები

**საქართველოს თავისი საუკეთესო, კაშკაშა დღეები უდგას. ექსცენტრულ მილიარდერს სურს, ქვეყანა თავგადასავლების მოყვარულ პრეზიდენტს ჩამოაცილოს; მეხის გავარდნასავით გაისმა ცნობა იმის შესახებ, რომ ახალი ქალაქის აშენება იგეგმება და ამ ქალაქში 500,000 ადამიანი იცხოვრებს; ტელევიზიის მმართველმა ტელევიზიის ტერიტორიაზე კატაპულტირება მოახდინა და არხი ეთერიდან თითქმის გამორთო; ამ დროს კი პარლამენტარები ფიზიკურ მოქმედებებზე გადავიდნენ იმ პროექტის განხილვისას, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი 40 ადგილით უნდა გაიზარდოს. ყველა ეს დრამა — დიდი, თუ პატარა — ისეთ გამაოგნებელ სანახაობებს გვთავაზობს, რომელთაც მოსაწყენს ვერაფრით უწოდებ დაასკვნა ერთმა უცხოელმა რეპორტიორმა.**

ბრძოლა მაგნატ ბიძინა ივანიშვილსა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის მაინც სეზონის მთავარი ამბავია. თქვენს ყურადღებას ამ უკანასკნელზე შევაჩერებ. მილიარდერი ივანიშვილი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ საკმარისი არ არის ნაწილი ქართველებისთვის ტაქსის მძღოლების კერპი იყოს, ხოლო მეორე ნაწილისთვის — პოლიტიკური ბალანსის სასურველი აგენტი. ამიტომ მან ვაშინგტონელი ლობისტები დაიქირავა.

ორგანიზაცია BGR Government Affairs-ს ივანიშვილს იმით დაეხმარება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და მედიაწრეების კეთილგანწყობისთვის სააკაშვილს კონკურენცია გაუწიოს. გარდა იმისა, რომ სააკაშვილის



ადმინისტრაციას კავშირები ჰქონდა აშშ-ის წარსულ (ბუში და მეგობრებიძ და აქვს ამჟამინდელ მთავრობაში, მათ მხარეს კიდევ ორი ლობისტური ჯგუფია — Podesta Group-ი და Orion Strategies.

სავარაუდოდ BGR Government Affairs-ის დაქირავების იდეა ივანიშვილს მისმა ახალმა პოლიტიკურმა მოკავშირემ ირაკლი ალასანიამ მიაწოდა. ალასანია საქართველოს ყოფილი ელჩია გაეროში, ახლა ოპოზიციის ლიდერია და მასაც აქვს ამ PR ფირმასთან მუშაობის გამოცდილება.

ამერიკელი სამთავრობო და მედიაჩინოვნიკების ნებისმიერი მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს პროდასავლურ საქართველოში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობა მილიარდერს პრორუსს უწოდებს და ამის მტკიცებულებად მისი რუსული ბიზნესი და გაზპრომში მისი წილი მოჰყავს.

როგორც ჩანს, ამ აზრს ძალიან თვითდაჯერებული ზებრაც იზიარებს. დიახ, თქვენ სწორედ ამოიკითხეთ — ზებრა. ორმა მხარემ ერთმანეთს PR დაშნები მოუქნია და ინტერნეტში გამოჩნდა კიდეც პატარა ანიმაციური ვიდეო, სადაც ცნობისწადილიანი ჟირაფი და ყოვლისმცოდნე ზებრა ივანიშვილის გახმაურებული ზოოპარკის ბინადრებს განასახიერებენ და რუსულ-ინგლისურ ენებზე მოუთხრობენ ყველას იმის შესახებ, თუ სავარაუდოდ რა მიზნები ამოძრავებს მილიარდერს.

ვიდეოს ავტორი უცნობია, მაგრამ დროდადრო ჟირაფისა და ზებრას მიერ დაშვებული შეცდომები ინგლისურში იმის ვარაუდს აჩენს, რომ სცენარისტისთვის ინგლისური მშობლიური ენა არ უნდა იყოს. ჟირაფის მსგავსი შეცბუნება ივანიშვილთან დაკავშირებით, შესაძლოა, ბევრს აქვს, მაგრამ ზებრასეული შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც ბიზნესმენი რუსეთში „კაპიტალის დიდი ნაწილის“ დაკარგვის შიშით, იძულებული გახდა უარი ეთქვა „თავის ამაღელვებელ და უდარდელ ცხოვრებაზე“ და შემოსულიყო ქართულ „პოლიტიკაში“, აშკარად პროსააკაშვილისეულ პოზიციას აღწერს.

უპასუხებს კი ივანიშვილის გუნდი ასეთივე ანიმაციური ვიდეოთი, რომელშიც განმარტავს საკუთარ თვალთახედვას იმაზე, თუ რა ხდება „ქართულ პოლიტიკაში“? ყურადღებით ვიყოთ!!! შესაძლოა, წინ ანიმაციური ფილმების ფესტივალი გველის!

**გიორგი ლომსაძე**

## დედამიწის ზურგზე



**ხანძარმა ინდოეთის საავადმყოფო ცეცხლის მახედ აქცია, 20-ზე მეტი პაციენტი კვამლში ამოიხრჩო**

**ხანძარი გაჩნდა კალკუტაში კერძო სამედიცინო დაწესებულებაში. ხანძრის კერა სარდაფშია, სადაც ინახებოდა ადვილად აალებადი ნივთიერებანი. ალი მალე გავრცელდა მთელ შენობაზე. ხალხის ევაკუაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, ხანძარს ხუთი კაცი აქრობდა.**

* * *

**კლინტონმა დაუსწრებლად უპასუხა მის შემტევ პუტინს არჩევნებისა და ნავალნის შეხსენებით**



**როდესაც რუსეთის ფედერაცია-ნატოს საბჭოს სხდომის შემდეგ ბრიუსელში პრესკონფერენციაზე გამოდიოდა, ჰილარი კლინტომა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს რუსეთელთა იმედებსა და უფლებას უკეთესი მომავლისთვის. როგორც სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, ადამიანის უფლებათა დაცვა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული საგარეო-პოლიტიკის ნაწილია, ამიტომ შეშფოთება კანონზომიერია.**

* * *

**ერთი წლის განმავლობაში „ნასას“ საცავებიდან უკვალოდ გაქრა მთვარის გრუნტის ორი ათეული ნიმუში**



**დროდადრო კოსმოსური სააგენტო თავის სიმდიდრეს აცნობს მეცნიერებს კვლევისთვის იმ მიზნით, რომ ნიმუშებს კვლავ დაუბრუნებენ. მაგრამ მეცნიერები ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ მუდმივად მუშაობენ მიღებულ მასალებზე და მათ უკან აღარ დააბრუნებენ.**

* * *

**ნორვეგიის სასამართლომ ნება მისცა ბრეივიკს იკითხოს წერილები და გაზეთები, უსმინოს რადიოს და უყუროს ტელევიზიას**

**22 ივლისიდან ტერორისტმა მიიღო ნორვეგიიდან და სხვა ქვეყნებიდან 200-ზე მეტი წერილი, რომელთა შორისაც არის ერთობ არაჩვეულებრივი გზავნილებიც — წინადადებით იქორწინოს ან მიმართოს რელიგიას. ამავე დროს, ადვოკატის სიტყვებით, იგი უკვე გაეცნო ზოგიერთ პუბლიკაციას და განაცხადა, რომ პრესა ახდენს „მისი სახის დემონირებას“.**



ახალი კვლევა

# განათლების სისტემა, შიშები და უმუშევრობა

**„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ ახალ კვლევას აქვეყნებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის ფუნდამენტურ გამომწვევ მიზეზებსა და მათი გადაჭრის სავარაუდო გზებზე. კვლევაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში უმუშევრობა იზრდება, თუმცა გამომწვევი ფუნდამენტური პრობლემების სათანადო ადრესირება არ ხდება.**

1998 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე საქართველოში 12-დან 16 პროცენტამდე გაიზარდა, 2010 წლის მდგომარეობით. როგორც ხვდებით, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი, ოფიციალური სტატისტიკით, დასაქმებულია. აქ კი ასეთი სურათია: თვითდასაქმებული ადამიანების რიცხვი იზრდება, დაქირავებულებისა კი მცირდება, ანუ უმუშევრობის ზრდის მაჩვენებელზე გავლენას სწორედ დაქირავებული ადამიანების მიერ სამსახურის დაკარგვა ან სამსახურის ვერშოვნა ახდენს. აქ კი ფაქტორი, რომელიც კვლევის ავტორებმა წინა პლანზე წამოსწიეს, დასაქირავებელთა განათლება და დამქირავებელთა შიშებია.

## განათლება, როგორც ბაზარზე ბრძოლის იარაღი

საბჭოთა განათლების სისტემის ახალ საბაზრო რეალობასთან ფუნდამენტური შეუსაბამობა ის ფაქტორია, რომელიც გაზგასმულია როგორც სხვა, აქამდე ჩატარებულ, კვლევაში, ასევე ამ უკანასკნელში. მსგავსი პრობლემა, კვლევის მიხედვით:

„განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ფასეულობების გადასინჯვა მოხდა და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები „არასათანადო“ აღმოჩნდა“.

ეს კი, მარტივად რომ ითქვას, იმას ნიშნავს, რომ პრობლემა, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, როლებმაც განათლება საბჭოთა სისტემაში მიიღეს. თუმცა ეს ასე არ არის. ნინო ევგენიძე, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პროექტების დირექტორი და კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ამბობს:

„ყველაზე დიდი უმუშევრობის მაჩვენებელი აღრიცხულია ახალგაზრდა თაობაში. ეს გახლავთ 25-დან 35 წლამდე ასაკის ადამიანების ჯგუფი, რაც, მიმაჩნია, რომ საგანგაშო მაჩვენებელია, იმიტომ რომ, თუ ახალგაზრდების ჩართვა ვერ ხერხდება ქვეყნის ეკონომიკაში, ეს იმაზე მიუთითებს, რომ განათლების სისტემა არაეფექტიანად ვითარდება“.

## შიში, როგორც დამქირავებელთა დამაბრკოლებელი ფაქტორი

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელზეც კვლევის ავტორები საუბრობენ, დაქირავებულთა ბაზარზე შიშის ფაქტორია. მათი თქმით, ფინანსები არსებობს, მაგრამ ბაზარზე არსებული დამსაქმებლები ამ ფულს არ იყენებენ, არ იღებენ რისკებს, არ გენერირებენ ახალ გრძელვადიან ბიზნეს იდეებს, რაც, კვლევის ავტორთა თქმით, დასაქმებას გაზრდიდა.

„ამბობენ, რომ ხელმისაწვდომი არ არის ფინანსები, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ბანკებს აქვთ ჭარბი ლიკვიდურობა, მაგრამ რატომღაც ბიზნესი არ მიდის მათთან ფულის სათხოვნელად, რეალური მნიშვნელოვანი პროექტებით. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული იმით, რომ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს აქვთ ან არასტაბილურობის განცდა, ან რაღაცის შიში“, – ამბობს ნინო ევგენიძე.

დაქირავების მხრივ, უცხოური ინვესტიციების ნაკადების არასაკმარისობა ის ფაქტორია, რომელზეც კვლევა აქცენტს ნაკლებად სვამს. ამიტომ უცნობია, არის თუ არა ბაზრის არასტაბილურობის ან სხვა შიშების ფაქტორი მიზეზი დიდი ინვესტიციების შემოუდინებლობისა ქვეყანაში (ეკონომიკური სივრცის პროტექციონიზმი ან სოციალური გარანტიების მაღალი მოთხოვნა გარე ფინანსური ნაკადებისთვის შემაფერხებელ მიზეზთა შორის ვერ დასახელდება).

## თვითდასაქმებით შენიღბული უმუშევრობა

საქართველოში თვითდასაქმებულთა რიცხვი იზრდება. როგორც ცენტრი წერს: „აშკარაა,რომ ერთადერთი კატეგორია, რომელიც სტაბილურ ზრდას აჩვენებს, თვითდასაქმებულთა კატეგორიაა, ხოლო „დაქირავებით“ მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება“.

ცენტრის მიერ მოყვანილი ციფრების მიხედვით, შემოსავალი თვითდასაქმებული ადამიანების 20-მდე პროცენტისა, დღეში ერთი დოლარის ფარგლებშია. ერთი დოლარი, დღევანდელი მაჩვენებლით, დაახლოებით ორი ლარია. თვეში, საშუალოდ, ეს მაქსიმუმ სამოცი ლარია, რაც საარსებო მინიმუმის ნახევარიც კი არაა (ოფიციალური საარსებო მინიმუმი 150 ლარია). კვლევის ავტორები ამის მიზეზად, სავარაუდოდ, ნატურალური ნედლეულით მიმოცვლას ასახელებენ. ცენტრი ასევე დასძენს, რომ განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი ნულის ტოლფასია. კიდევ ერთი პარამეტრი, რომლითაც თვითდასაქმებული ადამიანების შემოსავლის ოდენობის დათვლა ხდება, მათ მიერ გენერირებული გადასახადებია.

„რადგან გადასახადის გადამხდელთა რიცხვი არ იზრდება თვითდასაქმებულთა კატეგორიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები არიან უმუშევრები და თავის გადარჩენისთვის იღვწიან“, – ამბობს ნინო ევგენიძე.

## რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ზევით მოყვანილი ინფორმაცია მხოლოდ ფრაგმენტული ნაწილია ბოლო კვლევაში აღწერილი პრობლემებისა, გთავაზობთ გამოსავლის გზების ზოგად ტენდენციებს:

1) შეიქმნას სრულყოფილი ინფორმაციული ბაზა, სამუშაო ბაზარზე არსებული სრული სურათის დასანახად და, შესაბამისად, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდეს:

აქდამსაქმებელი სექტორის მოთხოვნათა ძირეული გაგება;

ბძდასასაქმებელი სექტორის არსებული უნარების რეალური შეფასება.

2) მოხდეს დასასაქმებელი სეგმენტის დამსაქმებლების მოთხოვნებთან ადაპტირებაში დახმარება. სხვაგვარად ის ვაკუუმი, რომელიც სისტემის ფუნდამენტურმა ცვლილებამ გამოიწვია, ვერ შეივსება. ამ გზაზე განათლების რეფორმა გრძელვადიანი პროცესია. ამიტომ მის პარალელურად უნდა მოხდეს უფრო მოკლევადიანი და ეფექტიანი გადამზადების მექანიზმების ამოქმედება (არა, უბრალოდ, PR-კამპანიებით, როგორიცაა, მაგალითად, „შევასწავლით ინგლისურსა და კომპიუტერს“ არჩევნების წინ).

მაგრამ ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემები? – ამაზე კონკრეტული პასუხი კვლევაში არაა, თუმცა რეკომენდაციათა უმეტესობის ადრესატი ხელისუფლებაა.

**დავით ჩაგანავა,**
**რადიო „თავისუფლება“**

თარიღი

# რა კარგი იყო საღამო, „ნარევაზ-ნალალიძევი“...

**რიგითი დამსწრის ენა-პირით ვუხდი მხურვალე მადლობას ამ შესანიშნავი შეკრების ორგანიზებისათვის კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმს და მგონია, რომ ამავე გრძნობით განიმსჭვალა ყველა იქ მოსული, ვინც პირთამდე აავსო ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი. „რევაზ ლაღიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი“ – ოფიციალურად ასე შეფასდა იმდღევანდელი შეკრება, რომელსაც დეკემბრის სუსხიან კი არა, ყინვიან ამინდში დაუზარებლად მიაშურა ამ ჭეშმარიტად დიდი შემოქმედის მრავალრიცხოვანმა პატივისმგებელმა თუ თაყვანისმცემელმა.**

ხენი და მოქეიფე, ყოველთვის სუფრის თამადა, იუმორის იშვიათი გრძნობითაც დაჯილდოებული. – ბატონო რევაზ, თქვენი სიმღერები თბილისზე და ქუთაისზე ერთმანეთს ხომ არ ჰგვანანო, უთხრეს თურმე ერთხელ. – ერთი მამის შვილები არიან და რატომაც არ უნდა ჰგვანდნენო, უჯახებია... მეორედაც, სუფრასთან არიან, რევაზ ლაღიძე, რასაკვირველია, თამადაა, მაგიდას ვახტანგ ფალიაშვილი უზის, ღვინოს არ ეკარება. – კაცო, ლაღიძე მე ვარ და მთელი საღამო ლაღიძის წყალს შენ სვამ, სადაური სამართალიაო, უთქვამს რაღაც მომენტში ბატონ რევაზს. – ეგ როგორღაა, რომ ფალიაშვილი მე ვარ და მუსიკას კი შენ წერო, დაუბრუნებია „ხურდა“ ბატონ ვახტანგს. – მერედა, შენც წერე, ვინ გიშლისო...



საღამოს გამძღოლმა, მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელმა მოკლე შესავალ სიტყვაში შთამბეჭდავად შეძლო რევაზ ლაღიძის უკვდავი მუსიკალური მემკვიდრეობის მნიშვნელობის გადმოცემა და საზეიმოდ სასმენად განგვაწყო. 14 მუსიკალური ნომერი მოვისმინეთ სახელგანსმენილი კომპოზიტორის მდიდრული და ნაირფეროვანი შემოქმედებიდან, ყოველი მათგანი შესანიშნავი შესრულებითა და მერე, დამსახურებულად, „ბრავო“, „ბის“-ის შეძახილებითა და მქუხარე ტაშით დაჯილდოებული. პოპური რევაზ ლაღიძის მუსიკის თემებზე, „რონდო-ტოკატა“, უპოპულარესი „საჭიდაო“, ინსტრუმენტული ნაწარმოებები, აკადემიური სიმღერები, არიები ოპერიდან „ლეილა“, რომანსები გიორგი შატბერაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, პეტრე გრუზინსკის ლექსებზე... თურმე მარტო მე როდი მომგვარა ცრემლები რუსთავის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლისა და რუსთავის რევაზ ლაღიძის სახელობის მე-3 სამუსიკო სკოლის საკონცერტო გუნდის მიერ შესრულებულმა დიდებულმა „ჰიმნმა დედა ენას“ და ვაჟკაცურმა „ტიალო დარიალაო“-მ...

იყო, რა თქმა უნდა, მოგონებებიც. უნიჭიერესი მუსიკოსი, უბრალო, თავმდაბალი, არაჩვეულებრივი ქართველი კაცი, ლაზათიანი მომღ-

საღამო რომ დასრულდა, ცნობილ მუსიკათმცოდნეს, პროფესორ გულბათ ტორაძეს გამოველაპარაკე.

– ძალიან კარგი რამ მოგვიწყო ისტორიის მუზეუმმა... 30 წელი გავიდა რევაზ ლაღიძის გარდაცვალებიდან და კი არ გვშორდება, გვიახლოვდება თავისი უკვდავი მუსიკით. გაიხსენეთ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში რა ხშირად გაისმოდა „ჩემო კარგო ქვეყანავ“. მე თუ მკითხავთ, ეგ სიმღერა ეროვნულ ჰიმნად უნდა ქცეულიყო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რევაზ ლაღიძის „ტოკატა“ აუცილებელ ნომრად წამომდგარა არაერთ საერთაშორისო კონკურსზე. ბედნიერი ვარ, რომ პირადი მეგობრობა მაკავშირებდა ამ გულიან, საყვარელ კაცთან. რეზოს სახელი და მუსიკა მარად იცოცხლებს.

ქალბატონ ლელა ლაღიძესაც წარვუდექი და ვთხოვე ორიოდ სიტყვა სახელოვან მშობელზე.

– როგორ გითხრათ – ჯერ მამა იყო და მერე იყო შემოქმედი... ახლა უკან რომ ფიქრით ვიყურები, ვხედავ: უფრო მეტად უნდა გამენებივრებინა სიყვარულით. ვხედავ და ვნანობ...

...რა კარგი იყო საღამო „ნარევაზ-ნალაღიძევი“, ამ უფსკრულისკენ დაღმართში ამაღლება რომ ვიგრძენი...

**თამაზ ებანოიძე**

„ექსპო ჯორჯია“

# სახლი უფრო მყუდრო რომ იყოს

**საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯიის“ მე-11 პავილიონში ტრადიციულად თემატურად გამორჩეული საინტერესო ექსპოზიციები ეწყობა მუდამ. ერთი ასეთი, ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების მე-3 საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა „International Furniture Salon 11“ აქ 7 დეკემბერს გაიხსნა თბილისის მერიის მხარდაჭერით.**

**რბილი, საძინებლების, საბავშვო, საოფისე, ბაღის, სამზარეულოსა და აბაზანის ავეჯი, საოჯახო ტექნიკა, განათება, კერამიკული ნაწარმი, ინტერიერის აქსესუარები და დეკორაციები, მანქანა-დანადგარები, ალჭურვილობა და აქსესუარები ავეჯის წარმოებისთვის, ხის გადამმუშავებელი ტექნოლოგიები და მზა**

**კოტეჯები, ასევე თემატურად ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქციასთან კიდევ არაერთი სასაქონლო ჯგუფია წარმოდგენილი ექსპოზიციის 34 სტენდზე. ასევე ფართოა უცხოურ კომპანიათა წარმომადგენლობების გეოგრაფია: ქართული ფირმების გარდა გამოფენაში მონაწილეობენ გერმანელი, თურქი, იტალიელი, კორეელი და უკრაინელი მეავეჯეები და მომსახურების სფეროს სპეციალისტები, ასევე მწარმოებლები და**







ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

**სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები.**

**გამოფენა „International Furniture Salon 11“-ის ერთ-ერთი გამორჩეული თავისებურება ისაა, რომ დედაქალაქის მერიის ინიციატივით მასში ავეჯის მწარმოებლებთან ერთად მონაწილეობენ ასევე სასწავლო დაწესებულებები, მათ შორის თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელიც სტუდენტების მიერ შექმნილი პროექტებით და კონკრეტული ნამუშევრებითაა წარმოდგენილი.**

**გამოფენა, რომელსაც განსაკუთრებულ მიმზიდველს მნახველისთვის ექსპონატების შეძენის შესაძლებლობა ანიჭებს, 10 დეკემბრამდე გასტანს.**

**ირმა ირემაშვილი**

დაცემა



დავით გოგეჯიშვილი



დავით ხახალეიშვილი

# კაცობაში ჩემპიონობა კი სულ სხვაა...

## ვერ იდავითეს

**ამას წინათ გამოქვეყნდა ტიტულოვან ქართველ სპორტსმენთა მიმართვა დე ფაქტო ხელისუფლისადმი, რომელშიც ისინი ხაზს უსვამდნენ სამშობლოს წინაშე გამორჩენილი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის დამსახურებებს და მოითხოვდნენ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას.**

**სამწუხაროდ, ზოგიერთმა მათგანმა კაცობას უღალატა და მოგვიანებით უარი თქვა საკუთარ მოქალაქეობრივ მრწამსზე, ანუ ხელმოწერაზე. დაგვეთანხმებით, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, მათ თავიანთი გადაფურთხებული დაშინების შემდეგ ალოკეს თუ ზემოქმედების სხვა რაიმე ფორმის გამოყენების შედეგად – ფაქტად კი ის რჩება, რომ, ასევე დიდი მეცენატის, ბადრი პატარკაციშვილის ამაგისა არ იყოს, მათ ბატონი ბიძინას ამაგიც წყალში ჩაყარეს და მთელი ცხოვრების (უფრო სწორად – არსებობისძ განმავლობაში მედროვის იარლიყი მიიწებეს. მკითხველის პატივისცემით, უარესი ეპითეტით შემკობას ამჯერად საკუთარ თავს არ ვაკადრებთ. არადა, ეს მედროვენი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდები არიან. ეტყობა, ისინი მომავლისკენ არ იყურებიან.**

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# კენტად – ძიუდოს სამშობლოში

**გუშინ იაპონიის დედაქალაქში დაიწყო დიდი სლემის გათამაშება, რომელშიც ერთადერთი ქართველი კიმონოიანი – ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე მონაწილეობს (100 კგძ. იგი ამ უპრესტიჟულესი ტურნირის ორგანიზატორებმა ინდივიდუალურად მიიწვიეს და ტატამზე ხვალ გავა.**



პირველ წრეში „ჯვაროსანთა“ ლიდერს მეტოქეობას არგენტინელი კრისტიან შმიდტი გაუწევს, ამ წყვილში გამარჯვებულს კი მერვედფინალში წლევანდელი „მუნდიალის“ ყაზახ ფინალისტ მაქსიმ რაკოვსა და მასპინძელ ტაცუკი მასაბუჩის შორის უძლიერესთან მოუწევს ბრძოლა.

რაც შეეხება ამ წონაში მსოფლიო რეიტინგით ლიდერსა და ტოკიოს ასპარეზობის უმთავრეს ფავორიტს, „ამომავალი მზის ქვეყნის“ კიდევ ერთ წარმომადგენელს ტაკამასა ანაის, იგი კენჭისყრით ბადის საპირისპირო მხარეს მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი და ცირეკიძის გზები ფინალამდე არ გადაიკვეთება. შეგახსენებთ, რომ ირაკლიმ ანაის პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე წრეში იპონით მოუგო.

და ბოლოს, აღნიშნული ბატალიების კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება: ჩემპიონი 300 ოლიმპიურ სარეიტინგო ქულას გამოიმუშავებს, ფინალისტი – 180-ს, მესამე პრიზიორი – 120-ს, მეოთხედფინალისტი – 60-ს, მერვედფინალისტი – 36-სა და მეთექვსმეტედფინალისტი – 24-ს.

უკანასკნელი მონაცემებით, ცირეკიძეს მსოფლიო რეიტინგში სადღეისოდ 478 ქულით 22-ე პოზიცია უკავია, ლომერ ჭორჭოლიანს კი 620 ქულით – მე-14. ეს დუეტი მომავალ კვირაში ჩინეთის ქალაქ ჟინგდაოში მორიგ პრესტიჟულ გრან-პრიზე იჭიდავებს.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ბიძის**

**ზაურ ნემსაძის**

**გარდაცვალების გამო.**

კალათბურთი

# პარტიზანებს დაუცაცხანა

**თორნიკე შენგელია რომ თანდათან ლიდერად ყალიბდება, წლევანდელი ევროლიგაც მოწმობს, სადაც ბელგიის მოქმედი ჩემპიონის „შარლერუას“ ღირსებას იცავს. და მერე როგორ!**

ჯგუფური რაუნდის მერვე ტურის საშინაო მატჩს ბელგრადის „პარტიზანთან“ ბენილუქსელთათვის ყოფნა-არყოფნის დატვირთვა ჰქონდა – ჩვენი თანამემამულის კლუბს მხოლოდ გამარჯვება უტოვებდა პლეი-ოფში გასვლის თეორიულ შანსს.



მასპინძლებმა თავდადებული თამაშით მიაღწიეს საწადელს – 84:79, რასაც მნიშვნელოვანწილად 20 წლის „ჯვაროსანს“ უნდა უმადლოდნენ. მან პარტნიორთა ყულაბაში 17 ქულა ჩააჩხრიალა, აქედან 15-მეორე ნახევარში. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი პირადი მონაგარია.

შეგახსენებთ, რომ მიმავალი სეზონის სტარტზე სახელოვანი მამის – კახა შენგელიას ვაჟმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის მოგებაში, ხოლო მოგვიანებით ლიტვაში გამართულ „ევრობასკეტზე“ მთელი საკალათბურთო სამყარო გააოცა იმით, რომ მოხსნებშიც შეუდარებელი გახლდათ და არც ფიზიკურ ორთაბრძოლებს ერიდებოდა.

ყოველივეს გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია, რომ „თოკო“ იმ ათეულში მოხვდა, რომლიდანაც ფიბა 2011 წლის საუკეთესო ევროპელ ახალგაზრდა კალათბურთელს შეარჩევს. ამ პრესტიჟულ რეფერენდუმში მისი კონკურენტები არიან ალეხანდრო აბრინესი (ესპანეთი, „უნიკახა“ძ, ალექსანდრე ცვეტკოვიჩი (სერბეთი, „ცრვენა ზვეზდა“ძ ალესანდრო ჯენტილე (იტალია, „ბენეტონი“ძ, დარიო სარიჩი (ხორვატეთი, „ზადარი“ძ, დიმიტრი კულაგინი (რუსეთი, „ტრიუმფი“ძ, ენეს კანტერი (თურქეთი, „იუტა ჯაზი“ძ, იონას ვალანჩიუნასი (ლიტვა, „ლიეტუვას რიტასი“ძ, ნიკოლა მიროტიჩი (ესპანეთი, „რეალი“ძ და პრემისლავ კარნოვსკი (პოლონეთი, „ტარნობრეგი“ძ.

**რაც შეეხება ევროლიგის VIII ტურის შეხვედრებს, მათი სრული შედეგები ასეთია:**

**„ა“ ჯგუფი.** „ბილბაო“ – „კანტუ“ 64:67, „ოლიმპიაკოსი“ – „ტაუგრესი“ 84:82, „ნანსი“ – „ფენერბახჩე“ 53:73.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ფენერბახჩე“, „კანტუ“ – 5-5, „ტაუგრესი“, „ოლიმპიაკოსი“ – 4-4, „ბილბაო“, „ნანსი“ – 3-3 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ – „ბროზე“ 79:90, ცსკა – „ზაგრები“ 87:74, „ჟალგირისი“ – „პანათინაიკოსი“ 59:94.

**სატურნირო მდგომარეობა:** ცსკა – 8, „პანათინაიკოსი“ – 6, „ბროზე“, „უნიკახა“ – 3-3, „ჟალგირისი“, „ზაგრები“ – 2-2 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „შარლერუა“ – „პარტიზანი“ 84:79, „რეალი“ – „მაკაბი“ 88:64, „ეფეს პილსენი“ – „მილანი“ 84:70.

**სატურნირო მდგომარეობა:** „რეალი“ – 6, „ეფეს პილსენი“, „მაკაბი“ – 5-5, „პარტიზანი“ – 4, „მილანი“, „შარლერუა“ – 2-2 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „უნიქსი“ 63:50, „გალათასარაი“ – „მონტეპასკი“ 63:67, „პროკომი“ – „ოლიმპია“ 67:52.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ბარსელონა“ – 8, „მონტეპასკი“ – 6, „უნიქსი“ – 5, „გალათასარაი“ – 3, „პროკომი“, „ოლიმპია“ – 1-1 მოგება.

ინტერნეტიდან

## ციხე – მოლაპარაკებული მატჩებისთვის



**სასჯელის უმაღლესი ზომა – 132 წლით პატიმრობა მოითხოვა პროკურორმა თურქული „ფენერბახჩეს“ პრეზიდენტის აზიზ იილდირიმისთვის ფეხბურთში გამოჩენილი დარღვევების გამო. ფუნქციონერს წაუყენეს ექვსი ბრალდება თაღლითობაში, ოთხი – მატჩების შედეგების ჩაწყობისთვის, სამი – მექრთამეობისთვის და ა. შ. უშუალოდ ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა აზიზს ბრალად ედება აგრეთვე დამნაშავეთა ჯგუფების შექმნა და ბევრი ეკონომიკური დანაშაულიც, რასაც რამდენიმე მკვლელობას უთანაბრებენ.**

აზიზის გარდა, ციხეში თავიანთ განაჩენს ელოდება კიდევ 31 ადამიანი, ვინც ჩართულია მსხვილ კორუფციულ სკანდალში, თურქული ფეხბურთი რომ შეძრა. კიდევ 93 კაცი გამოძახებულია პროკურატურაში ჩვენების მისაცემად.

## იყიდება ოლიმპიადის მოსამზადებლად

**აუქციონზე გასაყიდ ლოტად წარადგინა თავისი თავი ბრიტანელმა სპრინტერმა ჯეიმს ელინგტონმა, რათა ფული იშოვოს ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად. მან თავი 30 000 გირვანქა სტერლინგად დაიფასა, ამ თანხაზე ის პირდება სპონსორებს – რეკლამასა და მის ჩვენებას ყოველ შესაძლო შემთხვევაში.**



ეს მან მას შემდეგ გააკეთა, როცა ვერ იშოვა სპონსორები სამშობლოში ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად. მით უმეტეს ტრავმის გამო იძულებითი ტაიმ-აუტის შემთხვევაში. მას უხდიან ფულს ყოველდღიური ხარჯებისთვის და უნაზღაურებენ სამედიცინო ანგარიშებს.

26 წლის სპორტსმენს წარმატებული წელი ჰქონდა სამშობლოში. დაამყარა საუკეთესო დრო დიდი ბრიტანეთისთვის 200 მეტრზე სირბილში, ივლისში მან მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ეროვნულ შერჩევაზე, ტეგუში კი მეოთხედფინალში მეოთხე იყო.

## გაშიშვლდნენ ინგლისელთა მასპინძლობისთვის

**არც თუ სახელგანთქმული პოლონური კლუბის „ხატნიკის“ (კრაკოვიძ გულშემატკივარი ქალები იძულებულნი გახდნენ, მონაწილეობა მიეღოთ ეროტიკულ ფოტოსესიაში, რათა სახსრები გამოეძებნათ თავიანთი გაქუცული კლუბის სასწრაფო მოდერნიზაციისთვის.**



მთავარი კი ისაა, რომ, ეს კლუბი რატომღაც ინგლისის ნაკრების მენეჯერების მოულოდნელი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ის აირჩიეს ევრო 2012-ზე ნაკრების დისლოკაციის ადგილად.

ბრიტანული პრესა დაფრთხა, როდესაც კრაკოვში ეს სანახევროდ დანგრეული ბაზა ნახეს. აქ ხომ ნაკრები გადამწყვეტი მატჩებისთვის უნდა მოემზადოს, თანაც სხვა ვარიანტები უფრო უარესი იყო.

„ხატნიკის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ შენობა თუ ბაზა მალე უკეთეს მდგომარეობაში იქნება. თუმცა საეჭვოა, რომ ამისთვის ეყოთ გაშიშვლებული გულშემატკივრების ფოტოებიანი კალენდრის გაყიდვით შემოსული თანხა, რაც ჩამოტყავებული კედლების შესაღებადაც არ ეყოფათ.

◉ მაქვს პროექტი!

# დავსაქმდებით და დავასაქმებ!

**გუშინ ვერის ბაღში ნაცნობ პენსიონერს გამოველაპარაკე. მზიანი დღე იდგა, სითბომ ძვლებში სასიამოვნოდ შეგვიღიტინა და საუბარს გვიანობამდე შევყევით. რუსეთთან და ნატოსთან ურთიერთობის დალაგების საკითხების მორჩენისთანავე ქვეყნის საშინაო ამბებზე გადავედით. ამ მომენტით ვისარგებლე და თანამოსაუბრეს მოულოდნელი კითხვა ვაჯახე:**

— შენ როგორ ფიქრობ, რეზო, ლაზიკა უნდა აშენდეს?

— რომელ ლაზიკაზე მეკითხები, ძმაო, ტაოკლარჯეთზე?

— არა კაცო, თურქეთში ვინ მიგვასუნინებს, მიშას ლაზიკაზე გეუბნები.

— ჰოო, მაპატიე, მაგრამ მე მიშას საქმეში ვერ ჩავერევი.

— რატომ რა, ჭკუა გაკლია თუ გამოცდილება?

— მიშას ორივე ჭარბადა აქვს და მაგას დამატებული — მესამეც.

— მესამე რომელია?

— თავხედობა!

— ჩუმად, ძმაო, არავინ გაიგოს! — სერიოზულად შევშინდი.

— გაიგონ რა, თვითონვე თქვა მიშამ, ლაზიკას მშენებლობის გარისკვა, ჩემი მხრივ, დიდად თავხედური განაცხადიაო.

— ეგეც კია, — მოვლბი, — მეფური თავხედობა ზოგჯერ შვენის კიდეც ჩვენს პრეზიდენტს.

— ეგრეა, ეგრე, — დამიკანტურა თავი რეზომ და ცხვირზე დაცურებული სათვალე შეისწორა.

— კარგი, ლაზიკას თავი დავანებოთ, — ვეუბნები, — აი, პენსიების გაზრდაზე რა აზრისა ხარ?

— ნაწყენი ხომ არ ვიქნები, ძმაო, გახარებული ვარ.

— აი, შენისთანა ფარისევლები ღუპავენ სწორედ ამ ქვეყანას, — წამოვენთე.

— რატომ, კაცო, პენსიას რომ მიზრდიან, არ უნდა მიხაროდეს?

— მაგრამ როდის გვიზრდიან, ეგეც ხომ საკითხავია. რა იცი, მომავალ სექტემბრამდე ვიცოცხლებთ კი?

— ჯავრი ნუ გაქვს, მომატების იმედი რო გვექნება, უფრო დიდხანს ვიცოცხლებთ.

— გინდა თქვა, რომ სააკაშვილი ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნავს?

— მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, აღგებოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.

— შენ რა გიჭირს, — გავამხნევე, — ბიჭაბატკანასავით გამოიყურები.

— რატომაც არა, — შეიფერა რეზომ, — პენსიის მომატებას რაზე ვუცადო, გადაწყვეტილი მაქვს, გაზაფხულისთვის რაიმე ბიზნესი წამოვიწყო.

— გადამრევს ეს კაცი, ამ ქვეყანაში პრეზიდენტი ვერ დაგვისაქმებია და პენსიონერი სად რას გამოძებნის?

— როგორ, კაცო, შენ ფიქრობ რო მიშა უსაქმოდ არი?

— აბა რა, საქმე რო ჰქონდეს ყოველდღე, ხან დღეში სამჯერაც, ობიექტების გახსნაზე ხომ არ ირბენდა და არც ლაზიკა დაესიზმრებოდა.

— ხო გითხარი, მე მიშას საქმეში, მით უფრო უსაქმურობაში ვერ ჩავერევი. ნეტა იმდენი შევძლო, საკუთარი თავი და ზოგჯერ სხვა ჩემნაირიც დავასაქმო.

— ამას უყურე, თურმე სხვების დასაქმებასაც აპირებს.

— რატომაც არა, ამ დღეებში გიგი უგულავასთან შევალ და თუ კრედიტს გამომიყოფენ, მერიის პროექტში (დავსაქმდებით და დავასაქმებთ) აქტიურად ჩავერთვები.

— მერე, კრედიტს რაში გამოიყენებ?

— ძროხებს ვიყიდი, მაწონსა და ყველს დავამზადებ, ბაზარზე გავიტან და დამატებით შემოსავალს გავიჩენ!

— კი მაგრამ, ქალაქში ძროხებს ვინ გაყოლიებს?

— რატომ ქალაქში, გლდანში მიწის ნაკვეთი მაქვს და შიგ პატარა სახლიც მიდგას. მეუღლეს და ვაჟიშვილს წავიყვან და ჩემთან ერთად იმათაც დავასაქმებ.

— მათ რაღაზე დაასაქმებ?

— ცოლს — მაწვნისა და ყველის დამზადებაზე, ვაჟს — პროდუქციის რეალიზაციაზე.

— შენ თავად რაღაზე დასაქმდები?

— კაცო, ცოლ-შვილს რო დავასაქმებ, ჩემი დასაქმებაც არ იქნება? ამის გარდა, თავისუფალ დროს გლდანის ტბაზე ვივლი, თევზს დავიჭერ და იმასაც ფულად ვაქცევ.

— ჰოო, ეგ უკვე კარგია, — შევუქე განზრახვა რეზოს და მისი იდეა — პენსიონერებმა დავიწყოთ ბიზნესის და ფულის კეთება, ჭკუაში დამიჯდა.

ისე, კაცმა რომ თქვას, პენსიონერები რატომ უნდა შევყურებდეთ ხელებში უსაქმურ მთავრობას, რომელიც თავად ვერ დასაქმებულა და ჩვენ როგორ დაგვასაქმებს. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მათი უსაქმურობით, ჩვენივე ფანტაზიით კრეატიულად დავსაქმდეთ და ყველამ ერთად იმდენად შევამციროთ უმუშევრობის კოეფიციენტი, რომ მომავალ წელს მსოფლიომ ყველაზე დასაქმებულ ქვეყნად საქართველო აღიაროს. ამის შანსი რეალურად არსებობს და პენსიონერებმა, ვიდრე ცოცხლები ვართ, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ!

**ოტია ჩართოლანი**

სანთელი

## ირაკლი ჯაფარიძე



გვარიშვილობა, კეთილშობილება, პიროვნული ხიბლი, გულის სითბო, სულიერი სიმტკიცე... ამ ჩამონათვლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია ირაკლი ამბერკის ძე ჯაფარიძის პორტრეტის დასახატავად.

იგი 1923 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ აბარში დაიბადა მთელს იმ მხარეში დაფასებული პედაგოგების ოჯახში. ალბათ, იქაურმა ბუმბერაზმა მთებმაც განაპირობა ხალასი ჭაბუკის პროფესიული არჩევანი, მოგვიანებით რაჭის გეოლოგიური პარტიის უფროსობით და არაერთი სასიკეთო საქმის ქმნით რომ დაგვირგვინდა. სამაგალითოდ ონში, სტალინის ქუჩაზე ჭაბურღილის გაბურღვისა და უნიკალური სამკურნალო თვისებებით შემკული მჟავე წყლის ამოყვანის დასახელებაც კმარა, დღესაც რომ ამაყად მოჩუხჩუხებს ბუნების წიაღიდან.

ცხოვრებამ არაერთი დაუმსახურებელი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა, მაგრამ ბოლომდე იმ კაცად დარჩა, კოლორიტად რომ მოიხსენიებენ.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

**გია პლატონიშვილი**

## მხატვრების საყურადღებოდ!

**2011 წლის 18 დეკემბერს 14 საათზე „პროფკავშირების კულტურის ცენტრის“ დარბაზში ტარდება საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წევრთა რიგგარეშე XVI ყრილობა.**

**დღის წესრიგი:**

**1. საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წესდებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება;**

**2. საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის არჩევა.**

**თქვენი დასწრება სავალდებულოა, თან იქონიეთ პირადობის მოწმობა.**

**(მის. მეტრო „დელისი“, „ვაჟა-ფშაველას გამზ. №43).**

**გამგეობა**

◉ ინფორმაცია

## საგანგაშოა სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა

**საქართველოში ზედაპირული და მიწისქვეშა წყაროების სიუხვის საერთო ფონის მიუხედავად, თითქმის ყველა რეგიონი განიცდის ნორმატიული ხარისხისა და საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლის მკვეთრ დეფიციტს, — აღნიშნულია დასკვნაში, რომელიც სპეციალისტებმა რეგიონებში სასმელი წყლის ხარისხის შესწავლის შედეგად გამოაქვეყნეს.**

**დასკვნის მიხედვით, ქვეყნის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სფეროში არსებული პრობლემები აქტუალურია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონისათვის, რაც ხშირად განპირობებულია წყალმომარაგების დაბალი სანიტარიული საიმედოობით. ქვეყანაში აღრიცხული 1500 წყალსადენის სისტემების უმრავლესობა მუშაობს ექსპლუატაციის წესების დარღვევით, არსებული წყალსადენების 60%-ის სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი და ხშირად კრიტიკულია. წყალსადენების უმრავლესობას არ გააჩნია წყლის გამაუვნებელი დანადგარები, სანიტარიული დაცვის ზონები, არ აქვს ნედლი წყლის დამუშავებისათვის აუცილებელი გამწმენდი ნაგებობები, წყლის მომზადების არსებული სქემები და ტექნოლოგიები არასრულყოფილია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ძირითადად წყლის მიწოდება ხდება წყვეტილად, გრაფიკით. გარდა აღნიშნულისა, პრაქტიკულად ყველა წყლის ობიექტი განიცდის უარყოფით ანთროპოგენურ და ტექნოგენურ ზემოქმედებას.**

**დასკვნა სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოამზადა.**

ინტერპრესნიუსი

◉ ჩვენი კარაბადინი

# სწრაფი გამოჯანმრთელების ათი პირობა

**მწვავე რესპირატორულ-ვირუსულ დაავადებათა დიაგნოსტიკაში სირთულის გათვალისწინებით, უმჯობესია იგი ექიმს ვანდოთ. მისი დაავადებების შესრულების დაწყების დროს საჭიროა დავიცვათ რესპირატორულ-ვირუსულ ინფექციებთან ბრძოლის ათი მარტივი და ეფექტიანი წესი.**

1. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პირობაა — წოლითი რეჟიმი. თუნდაც ერთი კვირა იწექით სახლში. და დაავადება უფრო სწრაფად წავა და ამ დაავადებით ახლობლებსაც აღარ „დააჯილდოებთ“.

2. სვით დღეში სულ ცოტა 2 ლიტრი სითხე. რა იქნება ეს — ჩაი, ცხელი რძე თუ მინერალური წყალი — დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სითხესთან ერთად ორგანიზმიდან გამოდის ინტოქსიკაციის პროდუქტები.

3. ავადმყოფობის დროს გადადით მცენარეული და რძის პროდუქტების დიეტაზე. ასეთი საკვები არ მოითხოვს თქვენი ორგანიზმისგან დიდი ენერგიის ხარჯვას მისი გადამუშავებისთვის და დაგიზოგავთ ძალებს სენთან ბრძოლისთვის.

4. თუ გაქვთ ტემპერატურა, ნუ იჩქარებთ მის დაგდებას. ტემპერატურის აწევა თავისთავად — ბუნებრივი მოვლენაა, დამცველი რეაქციაა თქვენს ორგანიზმში უცხო წარმომავლობის ვირუსებსა და მიკრობებზე (ისეთივე, როგორებიცაა ტკივილი, პირლებინება, ფაღარათი). მიკრობების შეტევების დაწყებასთან ერთად ჩვენს თავში ტვინის ის განსაკუთრებული ცენტრები ღიზიანდება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თერმორეგულაციაზე. სწორედ ამას მივყავართ ტემპერატურის აწევასთან, რომელიც არ არის კომფორტული არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ თავად ინფექციისთვისაც. სწორედ ამიტომ, თუ ციება ნორმალურად გადაგვაქვს და არ აჭარბებს 38 გრადუსს, ბევრი ექიმი მის დაგდებას არ გვირჩევს. მისი დაგდებით ჩვენ ვამცირებთ ორგანიზმის დამცველ ძალებს. თანაც ხალხში პოპულარულმა ასპირინმა შეიძლება გამოიწვიოს ძმარვა და კუჭთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო თუ შუშხუნა აბებს დალევთ საღამოს ან ძილის წინ — ამან შეიძლება თირკმელებში ქვების წარმოქმნა გამოიწვიოს.



5. არ უნდა დაგვავიწყდეს ვიტამინებიც. განსაკუთრებით ვიტამინი C. ის ზრდის ინტერფერონის გამომუშავებას, სტიმულს აძლევს იმუნურ სისტემას. სხვათა შორის, ეს ვიტამინი ყველაზე მეტია გრეიპფრუტში. დღეში ერთი ცალი — და ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ამ ვიტამინის თქვენი ფიზიოლოგიური ნორმა უზრუნველყოფილია.

6. რეგულარულად გაატენიანეთ და გაანიავეთ ოთახი. მშრალ ატმოსფეროში სასუნთქ გზებს უჭირთ ინფექციასთან ბრძოლა.

7. რომ უფრო მეტად არ გავამრავლოთ ინფექცია, უარი თქვით ტრადიციული ქსოვილის ცხვირსახოცზე, შეცვალეთ ის ერთჯერადი ქაღალდის ცხვირსახოცით ან ხელსახოცით, ასევე ხშირად იცვალეთ პირსახოცი და დაიბანეთ ხელი. განსაკუთრებით დაცემინების შემდეგ.

8. ბოროტად ნუ გამოიყენებთ სისხლძარღვთა შემავიწროებელ წვეთებს. როდესაც ცხვირში იწვეთებენ ყველაფერს, რასაც მათი ტკივილები შეუძლია შეამსუბუქოს, ბევრი წამლის ნამდვილი ნარკომანი ხდება და ეჭვიც არ ეპარებათ, თუ როგორ ზიანს აყენებენ თავიანთ თავს. სისხლძარღვები ძალიან მალე ეჩვევიან მათ და ითხოვენ სულ უფრო მეტ „დოზას“, ირღვევა ცხვირის ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის წამწამების ფუნქცია, რასაც აქრობს ლორწო.

9. ისეთივე ვითარებაა ხველებასთან დაკავშირებით. ავადმყოფობის პირველ დღეებში, როდესაც სასუნთქი გზების გაღიზიანების გამო ხველება მშრალია, გვეხმარება სასმელი და გვირილის, მრავალძარღვას, სალბის, ცაცხვის ყვავილის ანთების საწინააღმდეგო ნახარშების ინჰალაცია. მზა ნახარშს შეიძლება დავუმატოთ ერთი ჩაის კოვზი სოდა.

10. ნუ მიიღებთ წამლებს ექიმის რჩევის გარეშე, განსაკუთრებით თუ საკითხი ანტიბიოტიკებს შეეხება. ვირუსებზე ისინი არ მოქმედებენ, ხოლო უკონტროლო გამოყენების დროს დაავადების გამომწვევ ბაქტერიებში სწრაფად გამოიმუშავებენ წამლებისადმი სიმყარეს.

## მილოცვა

ბატონო რეზო,
გილოცავთ დაბადების დღეს!

ჩემთვის დიდი პატივია, დაბადების დღე მივულოცო შემოქმედს, რომლის შედევრებითაც ჩემს ქვეყანას არაერთხელ გაუხარია და უამაყია იმით, რომ მსოფლიო აალაპარაკა ქართველი კაცის ნიჭიერებამ.



გისურვებთ მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს!

მჯერა, თქვენი შემოქმედება არასოდეს დაბერდება.

დიდი პატივისცემით,
ბიძინა ივანიშვილი

— — — — — — — — — — —

ბატონ რეზო ჩხეიძის კინოფილმი „ჯარისკაცის მამა", რომელშიც ქართველი კაცის სულიერი სიმტკიცე, ადამიანური ბუნება და ხიბლი ყველა ქვეყნის მნახველმა გაითავისა და შეიყვარა, მთელი მსოფლიოს ყოველ კუთხეს მისწვდა. ეს იყო ქართული კინემატოგრაფიის დიდი გამარჯვება.

ბატონი რეზოს ყოველი ფილმი ქართული სულიერების წვდომის ნიმუშია, ზოგადსაკაცობრიო და მაღალმხატვრული ღირებულებისაა. ბატონი რეზო იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელითაც ქართველი ხალხი ამაყობს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი პატივისცემით ულოცავს ბატონ რეზოს, ქართული კინოს დიდებულ წარმომადგენელს, მრავალი თაობის აღმზრდელს, გამორჩეულ, ჭეშმარიტ მამულიშვილს, დიდებული ფილმების ავტორს დაბადების 85 წელს. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით გამარჯვებებს, მხნეობას ჩვენი სამშობლოს სასიკეთოდ!

პატივისცემით,
მერაბ ბერძენიშვილი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

### ◉ კადრი



ხელმომწერთა საყურადღებოდ!

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ გაჯიხურებულ-გაჯახირებული ხელისუფლებისგან

დღეს, როცა ხელისუფლება საგაზეთო ჯიხურებს დაერია და ბეჭდური მედიის გავრცელება სრულიად გამიზნულად(!!!) კიდევ უფრო შეიზღუდა, განსაკუთრებული ფასი დაედო გაზეთებზე ხელმომწერთა სიმრავლეს.

ტრადიციული პრესის, თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გაზეთის ბედი ახლა თქვენს აქტიურობასა და თანადგომაზეა დამოკიდებული. ყველაფერთან ერთად, ეს ჩვენი საერთო პრესტიჟის საქმეცაა — ქართული პრესის მოძულე ხელისუფლება ოპოზიციური, პრინციპული, სამართლიანი გაზეთების დამცრობა-გაკოტრებით არ უნდა გავახაროთ!



მრავალრიცხოვანი ხელმომწერი, ბევრი გონიერი მკითხველი ჩვენი სულიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

„საქართველოს რესპუბლიკა" თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

განსაკუთრებული ჟამი გვიდგას. ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა", შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკო-

**საქართველოს რესპუბლიკა**

ლებს, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან".

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებლად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას": მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი – ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და გაზეთი ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა" – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

**ხელმოწერა დაუბრკოლებლად შეგიძლიათ გააფორმოთ უშუალოდ რედაქციის ოფისში – გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელეფონი: 2 99 62 77.**

**ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას" ენდობი**

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

**ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..**

### ◉ ანეკდოტები

— ექიმო, წამლის მიღების სქემას ხომ ვერ შემიცვლიდით?
— ეს როგორ?
— თქვენ გამომიწერეთ თითო აბი ოთხჯერ დღეში ჭამის შემდეგ. არ შეიძლება, რომ ორ-ორი აბი დავლიო დღეში ორჯერ ჭამის შემდეგ?
— რატომ?
— დღეში ოთხჯერ ჭამის ფული რომ მქონდეს, ავად რა გამხდიდა...

* * *

დაბალი სიჩქარით მიმავალი ავტობუსი ხეს შეეჯახა.
— ყველა მთელია? — გასძახა სალონს მძღოლმა.
— კი, კი, ყველანი კარგად ვართ! — უპასუხებენ მგზავრები.



— ჭირსაც წაუღიხართ! — ყვირის გაღიზიანებული მძღოლი. — ნუ ხმაურობთ! პეტკა, უკანა სავარძელზე არყის ყუთი რომ დევს, ნახე, ყველა ბოთლი მთელია?

* * *

ეშმაკმა მიბაძა პუტინს, რომელმაც არჩევნებისას „ერთიანი რუსეთისგან" თავი შორს დაიჭირა, და განაცხადა, რომ მას ჯოჯოხეთთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს და მუდამ გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებელი ქაჯი.

* * *

პატარა მიხო სადილობს. ხედავს, რომ მაგიდაზე ტორტი დევს და კითხულობს.
— დედი, ეს ტორტის დიდი ნაჭერი შენია?
— არა, შვილო, შენთვის დავდე.
— ასეთი პატარა ნაჭერი?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24